# სარბიელი

სპორტული გაზეთი    პარასკევი 26 სექტემბერი 2003 №182 (1953)    ფასი 50 თეთრი


# რა ხდება თეთრი შლვაშის ჩრდილში?





# დინამიტი!





რა ხდება თბილისის „დინამოში“ — პასუხს ამ კითხვაზე კლუბი ჯერ არ იძლევა — „დინამო“ დუმს. კულუარული ინფორმაციები კი ნაკადად მოედინება.

ამბობენ, „დინამოს“ ფეხბურთელები ხვალ „მცხეთასთან“ სათამაშოდ არ გავლენო. მიზეზი პირველი: მათთვის რამდენიმე მატჩის კუთვნილი პრემია დაუკავებიათ; მიზეზი მეორე: გუნდიდან ექვსი ფეხბურთელის გაშვებას აპირებენ და სანაცვლოდ შერისხულ მოთამაშეებს გათავისუფლების ფურცელს ყოველგვარი სატრანსფერო თუ საკომპენსაციო თანხის გარეშე აძლევენ.

ამბობენ, რომ გუშინ ბუნტის ჩასაქრობად დიღმის ბაზაზე საგანგებო კრება გამართულა, მაგრამ ყოველივეს წერტილი ვერ დაესვა — ლაპარაკი დღეს გაგრძელდება და იქნებ გადაწყდეს, გავა თუ არა „დინამო“ „მცხეთასთან“ სათამაშოდო.

ამბობენ, რომ თუ ბუნტი ვერ გაუვნებელდა, „დინამო“ ფარმ-კლუბს, „დინამო 2“-ს გაიყვანს „მცხეთასთანო“.

ამბობენ, „დინამო“ პირველი გუნდის ექვს ფეხბურთელს „მცხეთასთან“ თამაშზე დაიყოლიებს, ხოლო ხუთს ფარმ-კლუბიდან დაიმატებსო.

ამბობენ, რაც ხდება, „სასახლის გადატრიალებაა“ და ამას „დინამოს“ მმართველი დირექტორი დავით პეტრიაშვილი უნდა ემსხვერპლოსო.

ამბობენ, რომ ივო შუშაკს გაუშვებენ და მის ნაცვლად „დინამო 2“-ის მწვრთნელ გია გეგუჩაძეს გაამწესებენო — ეს ჭორი თუ მართალი ამ ამბებამდე კარგა ხნის წინ გავრცელდა.

ამბობენ, რომ დიღმის ბაზის ერთ-ერთ კედელზე გაუკრავთ კლუბის ხელმძღვანელობის მოთხოვნა — მწვრთნელ-ფეხბურთელებმა პრესასთან ურთიერთობისგან 1 ოქტომბრამდე თავი შეიკავეთ, თორემ მკაცრი სანქციები არ აგცდებათო.

ამბობენ, „დინამოში“ ადრეც იყო არაჯანსაღი სიტუაცია, რამაც კულმინაციას ახლა უწიაო.

ქართულმა საფეხბურთო სამყარომ ყბად ეს იღო. სხვა ბევრსაც გაიგონებს კაცი, მაგრამ ახლა ეს ვიკმაროთ — ჯერი „დინამოზეა“, რომელიც დროებით დაამუნჯეს.

# მივიდა შალკე, დახვდა კამენი



*გელზენკირხენული „შალკეს“ უილბლო მატჩების სერია გრძელდება. გუშინ რურის ოლქელებმა, მართალია, სათადარიგო შემადგენლობით, მაგრამ მაინც ვერ მოუგეს ხორვატიულ „კამენ ინგრადს“.*

*„შალკეს“ ძირითადის კაცია ჩვენებური ლევან კობიაშვილი. საქართველოს ნაკრების ფლანგელმა ნახევარმცველმა შეხვედრას სათადარიგოთა სკამიდან ადევნა თვალი. კობიაშვილს გუშინ ხორვატიაში დავუკავშირდით*

— გაგვიკვირდა, იუპ ჰაინკესმა სათადარიგოთა სკამზე რომ გაგამწესა...

— გასაკვირი არაფერია, მეორე შემადგენლობით ვითამაშეთ. ჰაინკესმა ძირითადის ექვსი მოთამაშე სულაც გელზენკირხენში დატოვა, ჩემს გარდა სკამზე ვან ჰოოგდალემიც იჯდა. მწვრთნელმა შეგნებულად დაგვასვენა, წინ მთელი სეზონია. თავის გამოჩენის საშუალება იმათ მისცა, რომლებიც ძირითადში ვერ ხვდებიან, პრაქტიკა არ მოაკლდეთო.

— ჰაინკესისეული როტაცია ყველასთვის მისაღებია?

— სავსებით, ფეხბურთელებმა ეს ვიცით და საწინააღმდეგოც არაფერი გვაქვს. უბრალოდ, ძნელია ყოველდღე ერთი შემადგენლობით თამაში.

— გასაგებია, მაგრამ მაინც უეფას თასის შეხვედრაა. ჰაინკესმა მეორე შემადგენლობით თამაში იმად ხომ არ გადაწყვიტა, მეტოქე „შალკესთან“ შედარებით სუსტი რომაა?

— შესაძლოა, მაგრამ დანამდვილებით ვერაფერს ვიტყვი, თუმც ვფიქრობ, ჰაინკესს მეტოქის უპატივცემულობა არც უფიქრია.

— ხორვატებს კი მაინც ვერ მოუგეთ...

— რას ვიზამთ, ასეც ხდება. ვთვლი, რომ შედეგი ლოგიკურია. თითო მომენტი გვქონდა ჩვენც და იმათაც.

— ჰაინკესმა რა თქვა?

— განაწყენდა, აუცილებლად უნდა მოგვეგოო, თუმც ახლა რა აზრი აქვს. საპასუხო შეხვედრა შინაურ კედლებში გველის, ჩვენი გულშემატკივარი გვეყოლება და მჯერა, „კამენს“ უპრობლემოდ გავივლით. 0:0 ნამდვილად არაა დამაკმაყოფილებელი შედეგი, ფეხბურთია, ბურთი მრგვალია და რა იცი, რა ხდება, მაგრამ იმედიანად ვართ საპასუხოს ალბათ, ძირითადის ხალხი ვითამაშებთ.

— ახლა ბუნდესლიგურ ამბებზეც ვთქვათ. „შალკეს“ უილბლობა გრძელდება, რა ხანია, თამაში ვერ მოგიგიათ. აქა-იქ ჰაინკესის მოხსნაზეც კი წერენ გერმანელები...

— მწვრთნელის მოხსნა გაზვიადებულია, რუდი ასაუერსა და ჰაინკესს ამაზე ერთმანეთში არც უსაუბრიათ. ჰაინკესი საკმაოდ მაღალი დონის, ძლიერი სპეციალისტია. ვფიქრობ, „შალკეს“ ჩავარდნის მიზეზი შეუთამაშებლობაა. ბევრი ახალი ფეხბურთელი, ახალი მწვრთნელი. ადრეც მითქვამს და ვიმეორებ — ამ სეზონში სწორედ ამის გამო შესაძლოა, გაგვიჭირდეს-მეთქი. „შალკე“ ამ სეზონამდე სხვა ფეხბურთს თამაშობდა. ჰაინკესმა კი ახალ სისტემაზე გადააწყო გუნდი. კრიზისი, ადრე თუ გვიან, ნებისმიერ გუნდს შეიძლება დაეწყოს. იმედი მაქვს, ჩვენი ჩავარდნა დროებითია და ჩვეულად ავთამაშდებით. წინ ხომ გრძელი და მომქანცველი სეზონი გველის.

— უქმეებზე ბუნდესლიგის მორიგ ტურში ფრანკფურტის „აინტრახტს“ მასპინძლობთ. ალბათ, ნავსს ახლა გატეხთ...

— სათქმელად იოლია, „აინტრახტს“ აუცილებლად მოვუგებთო, მაგრამ ასე ნამდვილად არაა. ძალიან ძნელი თამაში გველის, ფრანკფურტელებს ხელწამოსაკრავი გუნდი არ ჰყავთ. ცხადია, ყველანაირად ვეცდებით, რომ მოვიგოთ, ხასიათზეც მოვიდეთ და ვითარება გამოვასწოროთ. თუმც, აქედანვე გეტყვით, ძალიან გაგვიჭირდება.

**გიორგი გუზაკიძე**

## უეფას თასი 2003-2004
### პირველი ეტაპი. პირველი მატჩები

კამენი (ხორვატია) 0:0 შალკე (გერმანია)

**შალკე: როსტი, ჰაიტო, კლასჰენერი, მატელანი, ჰანდერი, ასამოა (ციომერი 81), ვერმანტი, როდრიგესი, ტროიანი (ზაიცი 75), ჰანკე, აგალი (დელურა 75)**

***ლევან კობიაშვილი სათადარიგო იყო***

**მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი**

**მსაჯი: პასკუალე როდომონტი (იტალია)**

**10 000 მაყურებელი**

ჰამბურგი (გერმანია) 2:1 დნიპრო (უკრაინა)

ვისლა (პოლონეთი) 2:1 ნაიმეგენი (ჰოლანდია)

ფეიენოორდი (ჰოლანდია) 2:1 კერნტენი (ავსტრია)

ბორდო (საფრანგეთი) 2:1 პეტრჟალკა (სლოვაკეთი)

## ფინეთი
**ვეიკაუსლიგა. გადადებული მატჩები**

**იარო 0:1 ჯაზი**

**კუოპიო 0:2 ჰაამენლინა**

## ჰოლანდია
**ამსტელის თასი. 1 ეტაპი**

**ტეკ 0:3 *აიაქსი (II)***

***ბარონიე* 1:0 როდა**

***ჰოეკი* 7:0 გენემუიდენი**

***ომნივორლდი* 7:3 დელტასპორტი**

## ირლანდია
**პრემიერდივიზიონი. გადადებული მატჩი**

**დერი სიტი 0:2 დუბლინი**

## რუსეთი
**პრემიერლიგა. XXVI ტური**

**ლოკომოტივი 2:0 სპარტაკ-ალანია**

## შვედეთი
**თასის ნახევარფინალი**

**ჰალმსტადი 0:4 *ელფსბორგი***


# ყურადღება!

**ფკ ამერის საფეხბურთო სკოლამ დაიწყო 1990-1996 წლებში დაბადებული ბავშვების მიღება**

ჩვენი მისამართია: თიანეთის გზატკეცილი 25 (გლდანულის გადასახვევთან), ოლიმპიური რეზერვების სკოლის ტერიტორიაზე

ტელეფონი: 39-00-98, 899 78-19-24, 893 25-14-66




# რეხვიაშვილი სახლში აუტსაც ვერ აწვდის

*თითქმის უიმედო სიტუაციაშია ალექსანდრე რეხვიაშვილის „ტორპედო-მეტალურგი“. რუსული პრემიერლიგის უსუსტესმა გუნდმა ბოლო ტურში „ლოკომოტივთან“ წააგო და ჩემპიონატის დასრულებამდე ხუთი ტურით ადრე ოთხი ქულით ჩამორჩება უშუალო კონკურენტებს. რეხვიაშვილს და მის თანაგუნდელებს „ლოკომოტივთან“ ბევრი უსიამოვნო წუთი ჰქონდათ. ტორპედოელებს მოედანზე მეტოქე არ აძლევდა გასაქანს, ტრიბუნებიდან კი საკუთარმა გულშემატკივრებმა აიკლეს აუტსაიდერები.*

*გასავარდნად განწირულ რუსთა ქართველ კაპიტანს გუშინ მოსკოვის გარეუბანში, „მიაჩიკოვოს“ ბაზაზე შევეხმიანეთ*

— „ლოკომოტივთან“ მატჩში საკუთარმა გულშემატკივრებმა ობსტრუქცია მოგიწყვეს...

— ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო, მეტოქე სულ რომ წამოწოლილიყო, მაინც ვერ მოვიგებდით, რადგან საოცრად დაგვთრგუნეს ქომაგებმა. აუტის თუ კუთხურის ჩასაწოდებლად არავის უნდოდა მისვლა, უხამსი ჟესტებით და უწმაწური სიტყვებით გვამკობდნენ. ეს ყველაფერი სასტარტო სასტვენისთანავე დაიწყო.

— საკვირველია, წესით უნდა გაემხნევებინეთ ქომაგს. „ლოკომოტივამდე“ ხომ უშუალო კონკურენტ „ჩერნომორეცს“ სძლიეთ სტუმრად.

— მართლაც საკვირველია, ფეხბურთელები სულ სხვა დამოკიდებულებას ველოდით მათგან. თუმც ვფიქრობ, ეს უფრო პროვოკაცია იყო. „ტორპედო-მეტალურგის“ ქომაგები ორ ბანაკად არიან დაყოფილნი. ერთნი დღევანდელი ხელმძღვანელობის იმედად არიან, სხვები კი კლუბის უფროსობაში დაუყოვნებლივ ცვლილებებს ითხოვენ.

— „ტორპედო-მეტალურგს“ საპრემიერლიგო პირი არ უჩანს. გუნდში რა განწყობაა, ვინმეს თუ სჯერა, რომ პირველ ლიგაში არ გავარდებით?

— ნათქვამია, იმედი ბოლოს კვდებაო... შაბათს „სატურნს“ ვეთამაშებით. ეს შეხვედრა გადამწყვეტი იქნება, თუ წავაგეთ, ჩვენი წვალებაც ფაქტობრივად დამთავრდება.

— გუნდთან ერთი წელი კიდევ დაგრჩა კონტრაქტით. ეროვნული ნაკრების წევრისთვის თუნდაც რუსულ პირველ ლიგაში თამაში არცთუ სახარბიელო უნდა იყოს...

— რა თქმა უნდა, უკეთეს სიტუაციაში მოხვედრაზე ვოცნებობ, მაგრამ თუ პირველ ლიგაში დავქვეითდით, შესაძლოა, თავად კლუბმა მოინდომოს ჩემი გასხვისება, რადგან აქაური საფეხბურთო დებულებით პირველი ლიგის გუნდის განაცხადში მხოლოდ ხუთი უცხოელის შეყვანაა შესაძლებელი. ჩვენთან კი ნამდვილი ინტერნაციონალია: „ტორპედო-მეტალურგში“ 15 ლეგიონერია.

— საოცარია. ამდენი ფულის დამხარჯავი გუნდი პრემიერლიგიდან ვარდება...

— მართლაც პარადოქსია, მაგრამ მწარე რეალობაა.

— **ტირანაში ალბანეთთან მატჩში მომხდარ ინციდენტზე რას იტყვი.**

— არ მსურს კომენტარის გაკეთება.

— **სათადარიგო სკამზე ატეხილი გაწევ-გამოწევა ტელერეპორტაჟისას ბევრმა იხილა, ასე რომ, დასამალიც არაფერია.**

— ძალზე ცუდი რამ მოხდა, მეტს ვერაფერს ვიტყვი.

— **უფრო ცუდი ის იყო, რომ მომხდარს გასახდელშიც მოჰყვა გაგრძელება.**

— მიკვირს, ეს რომ იცით, ჩვენ შევთანხმდით, რომ რაც გასახდელში მოხდა, მის გარეთ არ გავიდოდა. გაკვირვებული ვარ, ვინ და რატომ დაარღვია შეთანხმება... ამასაც არ უნდა ვამბობდე. არ მსურს, ამ თემაზე საუბარი.

**ბაატა ძმანტალიანი**

საქართველოს უმაღლესი ლიგა 15 ჩემპიონატი
პირველი ეტაპი
9 ტური ანონსი

# სიონი პირში მთქმელია, ტორპედო ხათრიანი
# გორში პირობები დამწიფდა

დღეს ჩემპიონატის მეცხრე ტური ორი მატჩით იხსნება: წინა ტურის მთავარი სენსაციის შემოქმედი „მერცხალი“ ოზურგეთში ლიდერ „ვიტ ჯორჯიას“ დაუხვდება. ბოლო ორ მატჩში დაუმარცხებელი („ტორპედოსთან“ 0:0, „კოლხეთთან“ 3:1) გურულები, ცხადია, ვეტერინარებთანაც ეცდებიან თავისას, მაგრამ ზურაბ ბერიძის გუნდი მაინც ფავორიტად მიგვაჩნია. მით უმეტეს, „ვიტ ჯორჯიას“ შინ „ლოკომოტივთან“ ვერმოგებული მატჩი პირველი ადგილის დაკარგვად დაუჯდა და ახლა ყველანაირად ეცდება, მთავარ კონკურენტ „დინამოს“ არ ჩამორჩეს.

დღესვე საინტერესო ჯახი იქნება თბილისში. ზედიზედ სამმარცხნაგემი „კოლხეთი“ „თბილისს“ ესტუმრება. კოლხების შანსი „თბილისის“ არასტაბილურობაა, თანაც, თუ ვერ მოიგეს, შესაძლოა, ექვსეულში მოხვედრა ცისფერ ოცნებად ექცეთ. ფოთელთა დისკვალიფიცირებული მწვრთნელი გია ტყებუჩავა კი ოდენ ტრიბუნიდან „შეეშველება“ შეგირდებს.

მეცხრე ტურის მთავარი მატჩი კი ბოლნისშია. მოყოჩაღებული „სიონი“ და ჯერაც ინერციით მბორგავი ქუთაისის „ტორპედო“ „თემურ სტეფანიაზე“ გაარკვევენ ურთიერთობას. ოთარ გაბელიას გუნდი შინაურ კედლებში ჯერაც ქულადაუკარგავია, რიონისპირელებს კი სტუმრად გამარჯვება და გოლის გატანაც კი დღემდე არ ღირსებიათ. ასე რომ, გელა კიკალეიშვილს ძალიან ძნელი ამოცანა ერგო, თუმც „ტორპედო“ მაინც „ტორპედოა“. ამ გუნდისგან ყველაფერია მოსალოდნელი, მით უმეტეს, ქუთათურებს ბოლნისში ადრე არაერთხელ მოუგიათ. სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ საქართველოს სამგზის ჩემპიონების ხვალინდელი შესაძლო წარმატება ბევრისთვის, ალბათ, ძალიან გასაკვირი იქნება.

გორი ისტორიულ სეზონზე ფიქრობს. ეროვნულ ჩემპიონატებში ასეთი სტარტი „დილას“ არასოდეს ჰქონია. ზურაბ ხორგუაშვილის სამწყსო მისხალ-მისხალ აგროვებს ქულებს და აკი მესამე ადგილითაც იწონებს თავს. პირობებმა ასე იცის. „დილაში“ ყველაფერი თავის ადგილზე დგას — შემადგენლობაც გაძლიერდა და ფეხბურთელებიც აქამდე ჰჭირად ქცეულ გასაჭირს — უფულობას აღარ უჩივიან. ჰოდა, გუნდიც იგებს. „დილა“ „სიონთან“ ერთად ისაა, შინ რომ ვერავინ აართვა ქულა. გამოკეთებულ „ბათუმსაც“ ალბათ ძალიან გაუჭირდება ქართლში წარმატებაზე ფიქრი. ამ წყვილში საინტერესო ერთიცაა — წინა ტურში გორელმა ალექსანდრე კაიდარაშვილმა ჰეთ თრიქი, ხოლო ბათუმელმა მიხეილ კაკალაძემ დუბლი მიითვალეს და თავიანთი გუნდების მოგებებში ლომის წილი დაიდეს. როგორ დასრულდება მათი უშუალო დუელი, ხვალ ვნახავთ.

მეცხრე ტურის ბოლო მატჩი კი ძმური დერბია: აკაკი ჩხაიძის „ლოკომოტივი“ და როლანდ ჩხაიძის „სპარტაკი“. ეს ალბათ ყველაზე უინტერესო მატჩია ამ ტურში. „სპარტაკი“ ბოლო ადგილზეა, „ლოკომოტივს“ კი გამოღვიძება ეტყობა. რევაზ არველაძის გუნდი უეჭველად სამ ქულას ჩაიჯიბავს და სატურნირო მდგომარეობასაც გაიუმჯობესებს.

**ძახა შალამბერიძე**

ოზურგეთი. 26 სექტემბერი. 17 საათი. ცენტრალური

## მერცხალი — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: მ. მაღალურაძე; ლ. სილაგავა (ორივე თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); სფფ-ის ინსპექტორი: ხ. კუტივაძე; დირექტორი: გ. ჯიშკარიანი

თბილისი. 26 სექტემბერი. 17 საათი. შევარდენი

## თბილისი — კოლხეთი

მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), მ. ელიკაშვილი; ი. კახიანი (ორივე თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში; დირექტორი: გ. ძამუკაშვილი

თბილისი. 27 სექტემბერი. 17 საათი. ლოკომოტივი

## ლოკომოტივი — სპარტაკი

მსაჯები: ა. შალამბერიძე (ქუთაისი); ა. ნონიკაშვილი (თბილისი), ი. აფციაური (დუშეთი); ა. კრიჭაშვილი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი; დირექტორი: რ. ლორთქიფანიძე

ბოლნისი. 27 სექტემბერი. 17 საათი. თემურ სტეფანია

## სიონი — ტორპედო

მსაჯები: ა. მეშკოვი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); გ. ახკაროლლი (ქარელი); სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე; დირექტორი: ა. ბურჯალიანი

მცხეთა. 27 სექტემბერი. 17 საათი. არმაზი

## მცხეთა — დინამო

მსაჯები: ა. შილაკაძე; ო. ხეცაძე (ორივე თბილისი), გ. ცირდავა (გულრიფში); მ. მაღალურაძე (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე; დირექტორი: შ. ბაქრაძე

გორი. 27 სექტემბერი. 17 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

## დილა — ბათუმი

მსაჯები: დ. სანაია (სოხუმი); ზ. ჯვარიძე (თბილისი), ნ. რუსიშვილი (ქუთაისი); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო; დირექტორი: რ. შოთაძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 8 | 5 | 2 | 1 | 23:3 | 17 |
| ვიტ ჯორჯია | 8 | 5 | 2 | 1 | 16:5 | 17 |
| დილა | 8 | 5 | 1 | 2 | 13:5 | 16 |
| სიონი | 8 | 4 | 3 | 1 | 10:5 | 15 |
| ტორპედო | 8 | 4 | 2 | 2 | 8:6 | 14 |
| ლოკომოტივი | 8 | 3 | 2 | 3 | 11:10 | 11 |
| კოლხეთი | 8 | 3 | 1 | 4 | 7:9 | 10 |
| ბათუმი | 8 | 3 | 0 | 5 | 6:10 | 9 |
| მერცხალი | 8 | 2 | 2 | 4 | 9:18 | 8 |
| თბილისი | 8 | 2 | 1 | 5 | 10:14 | 7 |
| მცხეთა | 8 | 2 | 1 | 5 | 7:18 | 7 |
| სპარტაკი | 8 | 1 | 1 | 6 | 2:19 | 4 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 8 - ახალაია | დინამო |
| 5 - დავითაშვილი | თბილისი |
| გოცირიძე | ვიტ ჯორჯია |
| მელქაძე | დინამო |
| ა. კაიდარაშვილი | დილა |
| 4 - გონჩაროვი | სიონი |
| 3 - სულთანიშვილი | დილა |
| მარცვალაძე | ვიტ ჯორჯია |
| სირაძე | ლოკომოტივი |
| ძოძუაშვილი | დილა |
| სულთანიშვილი | დილა |
| დარასელია | დინამო |
| ბობოხიძე | დინამო |



„სიონი“ — „ტორპედო“: ვინ წაიქცევა ხვალ ბოლნისში?

*ახალი მწვრთნელებით და ახალი ფეხბურთელებით ფაქტობრივად ახლადშექმნილი გუნდია თბილისის „ლოკომოტივი“. რკინიგზელებს ყველაზე უფრო წინა ხაზში უჭირთ, მაგრამ ვინძლო ეს პრობლემა „ლოკომოტივს“ შეუმსუბუქდეს.*

*ადრეც გაუწყეთ, რომ ლაშა რეხვიაშვილმა, ვინც „ლოკომოტივში“ პოლონური „რუხიდან“ გადავიდა, გლანდების ოპერაცია გაიკეთა – ამ ახალგაზრდა ფორვარდს ყელის ტკივილები და სიცხიანობა აწუხებდა, რას გამოც „ლოკომოტივში“ თამაში გაუჯანჯლდა.*

*ამ დღეებში კი რეხვიაშვილმა სრული დატვირთვით განაახლა ვარჯიში და ვინძლო დამდეგ ტურში ითამაშოს კიდეც*



# როგორ იყიდა ლაშა რეხვიაშვილმა თავისუფლება

## ყაზბეგი — პოლონეთი — რკინიგზა

— ლაშა, როგორ აღმოჩნდი პოლონურ „რუხში“ ისე, რომ ჯერ საქართველოში არავინ გიცნობდა?

— რეგიონული ლიგის „ყაზბეგში“ გამოვდიოდი. ერთხელ კი, როცა „ირაოზე“ მინი-ფეხბურთს ვთამაშობდი, იქ რევაზ არველაძემ მნახა და მისი დახმარებით წავედი „რუხში“ გასინჯვაზე.

**— პოლონელები კარგა ხანს გაკვირდებოდნენ?**

— პირველივე ამხანაგური მატჩი რომ ვითამაშე, „რუხის“ ხელმძღვანელობამ სამწლიანი კონტრაქტი შემომთავაზა. მაგრამ პოლონეთის სამუშაო ვიზის გაფორმებას დრო სჭირდებოდა, ამასობაში განაცხადების ვადაც იწურებოდა და შინ დავბრუნდი — ყველაფერი ეს შარშან აგვისტოში მოხდა, იანვარში კი ხელმეორედ ჩავედი პოლონეთში და ორწლინახევრიან კონტრაქტს მოვაწერე ხელი.

**— რამდენი მატჩი ითამაშე პოლონეთის ჩემპიონატში?**

— თუ არ ვცდები, თორმეტი და სამი გოლი გავიტანე. თუმც სულ 90 წუთი როდი მიწევდა თამაში.

**— პოლონეთში დისკვალიფიკაციაც მოგცეს...**

— ერთი წაგებული მატჩის შემდეგ გაბრაზებულმა ბურთს მოვუქნიე ფეხი და ის შემთხვევით მსაჯს მოხვდა სახეში. რახან ყოველივე მატჩის შემდეგ მოხდა, ეს ფაქტი ვიდეოკამერებმა ვერ დააფიქსირეს, თორემ ნახევარწლიანი დისკვალიფიკაცია არ ამცდებოდა. საბოლოოდ, სამი მატჩი გამომატოვებინეს და 750 დოლარით დამაჯარიმეს.

**— „რუხიდან“ „ლოკომოტივში“ როგორ აღმოჩნდი?**

— „რუხს“ ჩემი დავალიანება ჰქონდა — 10 800 დოლარი. მითხრეს, ნახევარს ახლა გადაგიხდით, დანარჩენს მოგვიანებითო. მეც ავიღე ნახევარი და „რუხთან“ კონტრაქტი გავაუქმე — დანარჩენი ნახევარის ფასად თავისუფლება ვიყიდე. ამასობაში რეზიმ დამირეკა და „ლოკომოტივში“ გადმოსვლა შემომთავაზა.

**— პოლონეთის ჩემპიონატი ჩვენსაზე მაღალი დონისაა, მაგრამ საქართველოში თამაში იქ ნამყოფ ფეხბურთელს არ გაუჭირდება?**

— იქ აშკარად უფრო მაღალი დონეა, თამაშებზეც სულ მცირე 15 ათასი მაყურებელი დადის და ფეხბურთელებს ძალიან დიდი პატივით ეპყრობიან. თორემ ისე პოლონეთში ცივი ხალხია.

**— „რუხი“ პოლონეთის უმაღლეს ლიგაში გამოდიოდა, შენ კი საქართველოს ჩემპიონატის მესამე ლიგაში — როგორ ფიქრობ, რით მოაწონე თავი პოლონელებს?**

— ტაქტიკურად და ფიზიკურად პოლონეთის უმაღლესი ლიგის დონეზე მომზადებული ნაღდად არ ვიყავი. უბრალოდ, ინდივიდუალური თამაშის გამო გადაწყვიტეს ჩემი აყვანა.

**— მაინც როგორი სტილის ფორვარდად მიგაჩნია საკუთარი თავი?**

— მომწონს მატაობა, ტექნიკური ფეხბურთი.

**— ახლა, ოპერაციის შემდეგ როგორ ფორმაში ხარ?**

— ერთ ტაიმს ვითამაშებ, სრულად კი ალბათ ერთი კვირის შემდეგ შევძლებ, 90 წუთი ვითამაშო.

**— პირველი ეტაპის პირველი წრე სადაცაა დამთავრდება — შენი აზრით, რა პოზიციაზე იქნება „ლოკომოტივი“ 11 ტურის შემდეგ?**

— პირველი წრის დარჩენილი სამივე თამაში უნდა მოვიგოთ და სამეულში შევიდეთ.

**— რევაზ არველაძეს ახალგაზრდულ ნაკრებშიც მიუწვევიხარ, თუმც ჯერ არც იქ გითამაშია — რუსეთთან მატჩი ახლოვდება და როგორ ფიქრობ, მოგეცემა თამაშის შანსი? ნაკრებში საკმაოდ მწვავე კონკურენციაა — ლადო ახალაიასა და მიხეილ ბობოხიძის გარდა ჩვენს ჩემპიონატში მოთამაშე სხვა ახალგაზრდა ფორვარდებს თუ იცნობ?**

— აქაურ ფეხბურთელებს ჯერ კარგად არ ვიცნობ. ახალაია და ბობოხიძე კი მართლაც კარგი, სწრაფი ფორვარდები არიან. ვფიქრობ, რუსეთისთვის სრულ მზადყოფნაში ვიქნები.

**დავით თამართქილაძე**

# უეფას თასი 2003-2004. პირველი ეტაპი. პირველი მატჩები

# იაკინებმა თვისტომი არ იციან
## თვისტომებმა ვალის პატიება

*კაცი ვინმე, კუშების მდევარი, გუშინ გაზეთს აკანკალებული ხელით რომ გადაშლიდა, დაახლოებით ასე იტყოდა: „კაიზერსლაუტერნმა“ შინ წააგო? ვაჰ, „ჰერტამ“ საკუთარ მოედანზე კიდევ ვერ მოიგო? „გენჩლერი“ ნახე, „ბლექბერნი“ წაუქცევია, „ლივერპულისა“ ველარაფერი გავიგე... „ბარსელონას“ რაღა დაემართა? პუხოვის გარდა კატალონიელთა ფრე ალბათ ბოლნისშიც გაუხარდებოდათ — თვით „ბარსელონამ“ ვერ სძლია და სლოვაკებთან „სიონის“ მარცხი რად უნდა გაგვიკვირდესო*

**მეტალურგი** (დონეცკი, უკრაინა) 1:1 **პარმა** (იტალია)
1:0 შიშჩენკო (44), 1:1 ადრიანო (67)
მეტალურგი: ნიკიტინი, იაკსმანიცკი, ბექირი, ჩეჩერი, ციხმეისტრუკი, მელიქიანი, ტკაჩენკო, გიუზელოვი, ჯამარაული (პონომარენკო 70), შიშჩენკო (ოლექსიენკო 75), დემეტრაძე (დრანოვი 89)
მწვრთნელი: ვილემ ფრეში
მსაჯი: ტონი პოულსენი (დანია)
14 000 მაყურებელი

**სპარტაკი** (რუსეთი) 2:0 **ესბიერგი** (დანია)
1:0 პავლენკო (14), 2:0 კალინიჩენკო (33)
სპარტაკი: კოვალევსკი, მოიზესი, ვაშჩუკი, კოვტუნი, კებე (მიტრესკი 46), ტრობოკი (რუსო 85), კალინიჩენკო, ტიტოვი, პავლენკო, პიანოვიჩი, პაველიუჩენკო (დანიშევსკი 76)
*გიორგი ლომაია სათადარიგო იყო*
მწვრთნელი: ვლადიმირ ფედოტოვი
მსაჯი: პეტერი კარი (ფინეთი)
6 500 მაყურებელი

**ზიმბრუ** (მოლდოვა) 1:1 **არისი** (საბერძნეთი)
0:1 მალუსი (25), 1:1 ბალაშა (57)
ზიმბრუ: მულტესკუ, ოლექსიკი, ბულგარუ, ოპრია, გავაშვა, ჩებოტარი, ეპურიანუ (დრაგოვოზოვი 46), ბალაშა, ბასტინა (ბუკროვში 46), პიშნიკი, შიშელოვი (ფრუნზა 68)
მწვრთნელი: სერგეი სირბუ
მსაჯი: დრაჟენკო კოვაჩიჩი (ხორვატია)
5 000 მაყურებელი

**დანდი** (შოტლანდია) 1:2 **პერუჯა** (იტალია)
0:1 დი ლორეტო (50), 1:1 ნოვო (64), 1:2 ფუზანი (84)
დანდი: სპერონი, მაკეი, უილკი, მაირი (კოვენი 87), ერნანდესი, სმიტი, რაე, ნემსაძე, სარა (ბრედი 60), ლოველი, ნოვო
მწვრთნელი: ჯიმ დაფი
მსაჯი: ჟელკო სირიჩი (ხორვატია)
9 911 მაყურებელი

**ჰაპოელი** (რამათ განი, ისრაელი) 0:1 **ლევსკი** (ბულგარეთი)
**ცსკა** (ბულგარეთი) 1:1 **ტორპედო** (რუსეთი)
**პანიონიოსი** (საბერძნეთი) 2:1 **ნორდსიელანდი** (დანია)
**სარტიდი** (სერბეთი) 1:2 **სლავია** (ჩეხეთი)
**გენჩლერი** (თურქეთი) 3:1 **ბლექბერნი** (ინგლისი)
**მაკაბი** (ჰაიფა, ისრაელი) 2:1 **პუბლიკუმი** (სლოვენია)
**დინამო** (ხორვატია) 3:1 **მტკ** (უნგრეთი)
**ჰერტა** (გერმანია) 0:0 **გროცლინი** (პოლონეთი)
**ბრონდბიუ** (დანია) 1:0 **ვიქკოვი** (ჩეხეთი)
**ცემენტარნიცა** (მაკედონია) 0:1 **ლანსი** (საფრანგეთი)
**მიუპა** (ფინეთი) 0:1 **სოშო** (საფრანგეთი)
**ზალცბურგი** (ავსტრია) 0:1 **უდინეზე** (იტალია)
**ვოლერენგა** (ნორვეგია) 0:0 **გრაცერი** (ავსტრია)
**ვარტექსი** (ხორვატია) 1:3 **დებრეცენი** (უნგრეთი)
**კაიზერსლაუტერნი** (გერმანია) 1:2 **ტეპლიცე** (ჩეხეთი)
**უტრეხტი** (ჰოლანდია) 2:0 **ჟილინა** (სლოვაკეთი)
**ლეირია** (პორტუგალია) 1:0 **მიოლდე** (ნორვეგია)
**დინამო** (რუმინეთი) 2:0 **შახტარი** (უკრაინა)
**გაზიანთეფი** (თურქეთი) 1:0 **ჰაპოელი** (თელ ავივი, ისრაელი)
**მალათია** (თურქეთი) 0:2 **ბაზელი** (შვეიცარია)
**პუხოვი** (სლოვაკეთი) 1:1 **ბარსელონა** (ესპანეთი)
**ვენტსპილსი** (ლატვია) 1:4 **რუსენბორგი** (ნორვეგია)
**გრასჰოპერი** (შვეიცარია) 1:1 **ჰაიდუკი** (ხორვატია)
**ლუვიე** (ბელგია) 1:1 **ბენფიკა** (პორტუგალია)
**ოდენსე** (დანია) 2:2 **ცრვენა ზვეზდა** (სერბეთი)
**ფერენცვაროში** (უნგრეთი) 1:1 **კოპენჰაგენი** (დანია)
**ოლიმპია** (სლოვენია) 1:1 **ლივერპული** (ინგლისი)
**აიკ** (შვედეთი) 0:1 **ვალენსია** (ესპანეთი)
**აპოელი** (კვიპროსი) 1:2 **მალიორკა** (ესპანეთი)
**პაოკ** (საბერძნეთი) 0:1 **ლინი** (ნორვეგია)
**აუსტრია** (ავსტრია) 1:2 **დორტმუნდი** (გერმანია)
**რომა** (იტალია) 4:0 **ვარდარი** (მაკედონია)
**ოსერი** (საფრანგეთი) 1:0 **ქსამაქსი** (შვეიცარია)
**ჰართსი** (შოტლანდია) 2:0 **ჟელეზნიჩარი** (ბოსნია)
**ნიუკასლი** (ინგლისი) 5:0 **ბრედა** (ჰოლანდია)
**საუთჰემპტონი** (ინგლისი) 1:1 **სტიაუა** (რუმინეთი)
**მანჩესტერ სიტი** (ინგლისი) 3:2 **ლოკერენი** (ბელგია)
**სპორტინგი** (პორტუგალია) 2:0 **მალმიო** (შვედეთი)
**ვილიარეალი** (ესპანეთი) 0:0 **ტრაბზონი** (თურქეთი)


REUTERS
ნიუკასლი — ბრედა. ჰოლანდიელებს ერთი გოლი ტიტუს ბრამბლმაც უთავაზა

**„ბარსელონასთან“** მატჩი პუხოვიდან 130 კილომეტრში, ტრნავაში გაიმართა. მასპინძელთა სტადიონს განათების პრობლემა აქვს და კატალონიელები მეზობელ ქალაქში ამიტომ გადაიპატიჟეს.

ყრუმაც გაიგო, რომ ეს პატარა სლოვაკური გუნდი მეორე ტაიმს პირველზე ბევრად უკეთესად თამაშობს. ასე მოხდა ტრნავაშიც. „ბარსა“, რა თქმა უნდა, უტევდა და პატრიკ კლუივერტს ბარე 5-6 გოლის გატანა მართებდა. შესვენებამდე იგი მეკარესთან პირისპირ ორჯერ აღმოჩნდა, მაგრამ ბერნადიმ ორჯერვე აჯობა.

მეორე ნახევრის დასაწყისში ჰოლანდიელმა ანგარიშის გახსნა მაინც მოახერხა — რონალდინიოსგან პასი მიიღო და საჯარიმოს გარედან ზუსტად დაჰკრა.

შეხვედრის მიწურულს კატალონიელებმა მეტოქის კართან სტუმრობას კიდევ უფრო უხშირეს. რონალდინიოს, ლუის ენრიკეს და მარკ ოვერმარსს კარგი მომენტები ჰქონდათ, თუმცა ვერ გამოიყენეს და... ტრავნელები სკამებიდან რომ აიშალნენ, მესამე წამატებულ წუთზე „პუხოვმა“ სწორედ მაშინ გაათანაბრა. მარიო ბრეშკამ მარჯვენა ფლანგიდან ჩააწოდა, მილან იამბორმა მცველებს დაასწრო და ვალდესს გაუტანა.

„შესანიშნავი შედეგია. ვამაყობ ჩემი ფეხბურთელებით“ — აღმოხდა „პუხოვის“ მწვრთნელ შტეფან ზატკოს.

ფრანკ რაიკაარდი: „ვიცოდი, რომ ეს მატჩი იოლი არ იქნებოდა, არადა, ფავორიტად ყველამ ჩვენ შეგვრაცხა. ვერ ვითამაშეთ ისე, როგორც გვეკადრება, მეტოქემ კი ნაღდად გამაკვირვა“.

პოლონურმა „გროცლინმა“ ბერლინელები არანაკლებ გააოცა. „ჰერტა“ ბუნდესლიგაში ერთადერთია, რომელსაც მოგება არ უგემია. გერმანელები ნავსის გატეხვას საშუალო პოლონურ გუნდთან აპირებდნენ, მაგრამ ამაოდ. „გროცლინი“ მეტოქეს გაუძალიანდა და შინ უგოლო ფრე გაიყოლია.

„ჰერტას“ გენერალური მენეჯერი დიტერ ჰიონესი ნამატჩევს ცეცხლს აფრქვევდა: „უკვე დროა, რომ მათ, ვისაც გუნდი ფეხებზე ჰკიდია, წასასვლელად ბარგი შეკრან. ჯერ ერთ ფეხბურთელს გავაგდებ და თუ ეს საკმარისი არ იქნება სხვებსაც ზედ მივაყოლებ“. ჰიონესს მწვრთნელზეც შეეკითხნენ: „ჰუუბ სტევენსი არ თამაშობს. ნებისმიერი მწვრთნელი უძლურია, როცა მისი გუნდი მოედანზე უგულოდ დაეხეტება. მე არ ვსაუბრობ სტევენსზე, მხოლოდ ფეხბურთელების უჯიგრობა მაღელვებს“.

11 ოქტომბერს სტამბოლში თურქეთის ნაკრები ინგლისს უმასპინძლებს. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ბოლო ტურის მატჩამდე, საოქტომბრო ომის მცირე რეპეტიცია ანკარაში შედგა, რომელიც ოსმალოთა გამარჯვებით დასრულდა. „გენჩლერბირლიგმა“ შარშან მთელი სეზონი კარგად ჩაატარა და სამეულსაც ეპოტინებოდა. ამჟამად გუნდმა აშკარად უკლო, მაგრამ მეტოქის ინგლისურობამ ანკარელებზე დოპინგივით იმოქმედა. „გენჩლერი“ „ბლექბერნს“ ტოლსწორად ეთამაშა და პირველი ტაიმის მიწურულს ერთ წუთში მოაშთო. პირველი გოლი ფრიდელის შეცდომას მოჰყვა. მეკარე საჯარიმოს გარეთ გავიდა და მოიგერია ბურთი, რომელიც მასპინძელ სკოკოს მიუგორდა და მან ოცდაათიოდე მეტრიდან კარში ზუსტად დაჰკრა.

ანკარელებმა მეორეც მალე მიაყოლეს და ტაიმი 2:0 მოიგეს.

შესვენების შემდეგ „ბლექბერნი“ შეცვლაზე შესულმა ენდი კოულმა გამოაცოცხლა. მისი პასით ერთი გოლი ბრეტ ემერტონმა გაქვითა, მაგრამ სულეიმან ოიულამ უმალ მესამე შეაგდო და 25 ათასი დედაქალაქელი ქომაგი აღრიალა.

„მალათიას“ მეტოქედ ამ სეზონში უძლეველი „ბაზელი“ ერგო. შვეიცარიელებმა ჩემპიონატში მიჯრით ათი თამაში მოიგეს და დესერტად „მალათიაც“ დააჭაშნიკეს. ციხე შიგნიდან გატყდა. მასპინძლებს ორივე გოლი თვისტომმა ძმებმა, მურატ და ჰაკან იაკინებმა გაუტანეს.

ბაზელმა მოიგო. მაგრამ მურატ იაკინს მევალემ მიაკითხა ადრე, როცა იგი „ფენერბაჩეში“ თამაშობდა, სტამბოლში ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა. ქირა (36 ათასი დოლარი) არ გადაიხადა და ბაზელში ისე გაიქცა. ბინის პატრონმა მალათიაში ჩააკითხა. კანონის ძალით, მურატს მაჯის საათი და 100 შვეიცარიული ფრანკი გირაოდ დაატოვებინეს.

წინა ტურში ფრანკფურტში მოპოვებული შთამბეჭდავი გამარჯვების შემდეგ „კაიზერსლაუტერნი“ ჩეხურ „ტეპლიცესთან“ დამარცხდა. მთლად მოულოდნელობას ალბათ ვერ დავარქმევთ, რადგან „ტეპლიცე“ შინაური ჩემპიონატის სამეულს ამშვენებს.

სტუმრები შეხვედრის დასაწყისშივე იან რეჟეკის ზუსტი დარტყმით დაწინაურდნენ. ანგარიში შესვენებამდე შეინარჩუნეს კიდეც, მაგრამ მეორე ტაიმში მიროსლავ კლოზემ ჩვეული უზადო თავურით გაათანაბრა. აქ მასპინძლებს მადა გაეხსნათ და ჩეხთა დარბევა მოინდომეს. მეტოქის საჯარიმოს მალგულოვნად მიუხდნენ, თუმცა მათი მონდომება მალე განელდა. „ტეპლიცეს“ პაველ ხორვატმა საჯარიმო შეასრულა, ბურთი მეკარემ ვერ მოიხელთა და დასწრებაზე მცველებს ჰენრიკ ბენჩიკმა აჯობა — 1:2.

„სენტ ჯეიმსიზ პარკს“ სიხარული ეღირსა. ბობი რობსონის გუნდის გამარჯვებას საჯორდეთი სეზონის დაწყებიდან ელის. „ნიუკასლმა“ მთელი ბოღმა „ბრედაზე“ ანთხია და ჰოლანდიელი სტუმრები ხუთი უპასუხო გოლით გაისტუმრა.

ტრავმამოშუშებულმა კრეიგ ბელამიმ ხელობა გაიხსენა. პირველ ტაიმში უელსელმა წყვილი გოლი მიითვალა და მისი დაწყებული საქმე შესვენების შემდეგ თანაგუნდელებმა გააგრძელეს. მათ შორის უბერებელი კაპიტანი ალან შირერის გოლიც ერია.

„ლივერპულის“ ისტორიას მაიკლ ოუენმა ახალი ფურცელი დაუბეჭდა. 45-ე საევროთასო მატჩში მან 21-ე გოლი გაიტანა და ლეგენდარულ იან რაშს (20) გადაუსწრო. ლუბლიანაში მატჩის პირველი ტაიმი ნულებით დასრულდა, მეორეში მასპინძლები ანტონ ზლოგრას წყალობით დაწინაურდნენ. ამის შემდეგ სტუმრები შეფუცხუნდნენ. იონ არნე რიისემ მარცხენა ფლანგიდან ოუენს ბურთი საგოლედ გაუგზავნა და რეკორდიც გამოცხვა.

**გაგა ხუციშვილი**


REUTERS
ოლიმპია — ლივერპული. მაიკლ ოუენმა იან რაში ჩამოიტოვა



ვიქტორ ვალდესი

# ზოგი რამ ინჩასთა იმედების შესახებ
## ეს უცნაური თამაში პუხოვთან...

**„ბარსელონას"** მეკარე ვიქტორ ვალდესი პუხოვის „მატადორთან" გაშვებულ გოლს, რა თქმა უნდა, დაუმწუხრებია, მაგრამ ამის გამო სასოწარკვეთილებაში არ ვარდება. პრიმერას გრანდმა სლოვაკეთში ოდენ მწირი 1:1 გაახერხა, თუმცა წინ უეფას თასის საპასუხო შეხვედრაა და საეჭვოა, ვალედსმა და კომპანიამ 15 ოქტომბერს სლავებს „კამპ ნოუზე" რაიმე დაუთმონ.

კატალონიელთა გოლკიპერს კი ესპანური „ლიბრედირექტოს" ჟურნალისტი გაესაუბრა.

**— მატჩის 93-ე წუთზე გოლის გაშვება ალბათ ნებისმიერი მეკარისთვის მეტისმეტად არასასიამოვნო ამბავია...**

— გეთანხმებით. თამაშის ბოლო წუთებში უფრო მეტი ყურადღებით უნდა გვემოქმედა. რთული შეხვედრა იყო, მეტოქემაც უჩვეულო წინააღმდეგობა გაგვიწია. თუმც ყველაფერს საშინაო შეხვედრაში გადავწყვეტთ.

**— არადა, იამბორის დარტყმამდე „ბარსას" კარი რამდენჯერმე აშკარა ხიფათისგან იხსენით. სლოვაკების გოლმა ძალიან გაგაბრაზათ?**

— ვერ გეტყვით, რომ განრისხებული ვიყავი, მაგრამ ამ უეცარმა ფრემ გული ნამდვილად დამწყვიტა. მიუხედავად იმისა, რომ „პუხოვსაც" ჰქონდა საგოლე ეპიზოდები, საერთო ჯამში ჩვენ უფრო მეტს ვუტევდით და შესაბამისად მოგება „ბარსელონასი" უნდა ყოფილიყო.

**— ალბათ ფიქრობდით, რომ „პუხოვთან" დიდი ანგარიშით მოიგებდით...**

— მსგავსი რამ არ დაგვიგეგმავს. ჩვენი მიზანი მოგება იყო, თუმცა თუ დიდი ანგარიშით გავიმარჯვებდით, ცუდი, რა თქმა უნდა არ იქნებოდა. ისე, მინდა გითხრათ, რომ ბარსასნაირი დონის გუნდისთვის გასვლაზე ფრე ნამდვილად არ არის საგანგაშო და არც ღირს ამაზე დიდი აჟიოტაჟის ატეხვა.

**— მაგრამ ათი საგოლე მომენტიდან თქვენმა ფორვარდებმა ოდენ ერთი გამოიყენეს...**

— მსგავსი რამ ბევრ ძლიერ კლუბს მოსვლია. ჩვენ კი მიზნის მისაღწევად შრომა-გარჯა არ გვეზარება, თუკი რაიმე სუსტი წერტილია გუნდში, აუცილებლად გამოვასწორებთ.

**— ალბათ ისიც საწყენია, გულშემატკივართა მოლოდინი რომ ვერ გაამართლეთ. მათი ნდობა ხომ თქვენი ერთ-ერთი მძლავრი დამხმარე ძალაა...**

— მერწმუნეთ, „პუხოვთან" ეს უცნაური თამაში რომც წაგვეგო, კატალონიელ ინჩასთა უდიდეს უმრავლესობას მეორე შეხვედრაში მაინც ჩვენი გამარჯვების იმედი ექნებოდა. ცხადია, ამ ეტაპზე შეჩერებას არ ვაპირებთ, და ჩვენი გულშემატკივარიც ყოველთვის ჩვენს გვერდზე იქნება.

**— „ბარსელონაში" მიმდინარე ცვლილებებსა და თქვენი ახლანდელი დამრიგებლის, ფრანკ რაიკარდის სამწვრთნელო პოლიტიკას როგორ შეაფასებდით?**

— მასზე კარგის მეტი არაფერი მეთქმის. რაიკარდი ჭკვიანი კაცია და თავისი საქმე ზედმიწევნით იცის. „ბარსას" დირექციაც ცვლილებებს კლუბის სასარგებლოდ ახორციელებს.

**— ესპანურ პრიმერაში ზედიზედ 3 რთული ტური გელოდებათ — მადრიდის „ატლეტიკო", „ვალენსია", „დეპორტივო"...**

— შესანიშნავი მატჩები იქნება. მიუხედავდ იმისა, რომ სამივე ძლიერი მოწინააღმდეგეა, ფარ-ხმლის დაყრას არ ვაპირებთ და მათთან შერკინებისას მხოლოდ იმ 9 საჭირო ქულაზე ვიფიქრებთ, რაც, დამეთანხმებით, ჩვენთვის ძლიერ მნიშვნელოვანია.

**ლადო ხომერიკი**

# ნიუკასლმა როლს როისი რემონტში გაუშვა



ჯონათან ვუდგეიტი

**„ნიუკასლ იუნაიტედისა"** და ინგლისის ნაკრების ახალგაზრდა მცველი ჯონათან ვუდგეიტი თიაქარმა შეაწუხა. როგორც იუწყებიან, შაბათს მას ოპერაციას გაუკეთებენ. ერთი დღით ადრე კი „კაჭკაჭებს" ვუდგეიტის გარეშე მოუწევთ ლონდონის „არსენალთან" ჭიდილი. 23 წლის ფეხბურთელს ამ მატჩის გარდა კიდევ რამდენიმე შეხვედრის გამოტოვება მოუხდება, რადგანაც, ექიმების თქმით, იგი რამდენიმე კვირის მანძილზე ვეღარ გავა მოედანზე.

სავარაუდოდ, ვუდგეიტს ევრო 2004-ის შესარჩევი ციკლის ბოლო მატჩის გამოტოვებაც მოუწევს. არადა, სვენ გორან ერიკსონს მისი ძალიან ეიმედებოდა. ინგლისელებს ხომ ურთულესი ბრძოლა ელით სტამბოლში თურქეთის ნაკრებთან. როგორც იცით, იმ მატჩში ჯგუფის გამარჯვებულის ვინაობა გაირკვევა.

„ნიუკასლის" მენეჯერმა ბობი რობსონმა ვუდგეიტის ამბავს ასეთი კომენტარი გაუკეთა: „ჯონათანი მანჩესტერში სპეციალისტს გავასინჯეთ, რის შემდეგაც გადაწყდა, რომ შაბათს თიაქრის ოპერაციას გაუკეთებენ. რამდენიმე კვირა მისი დავიწყება მოგვიწევს, რაც ძალიან სამწუხაროა. გასულ შაბათს იგი მშვენივრად გამოიყურებოდა. არდა, ერთხანს ძირითად შემადგენლობაში ვერ ვაყენებდი და მისგან ასეთ მაღალ დონეზე თამაშს არ ველოდი. ვუდგეიტი „როლს როისს" ჰგავს, შეიძლება დიდი ხანი უქმად გყავდეს, მაგრამ ამაუშავებისთანავე მიწოდების სიმაღლეზეა. სამშაბათს ვარჯიშზე იგი ტკივილმა შეაწუხა და ჩვენს ექიმებს გავასინჯეთ. მერე კი, როგორც უკვე ვთქვი, მანჩესტერში გავგზავნეთ, სადაც გაირკვა, რომ გადაუდებელი ოპერაცია სჭირდება".

ვუდგეიტი „ნიუკასლს" იანვარში 9 მილიონი გირვანქის სანაცვლოდ შეუერთდა, თუმცა „ლიდსის" ყოფილი მცველი „სენტ ჯეიმსიზ პარკზე" ძველებურად ვერაფრით ათამაშდა, რადგანაც დღემდე ტრავმები აწამებენ.

ბოლოს კი აღვნიშნოთ, რომ ბობი რობსონმა ეს კომენტარი ოთხშაბათს უეფას თასზე „ბრედასთან" 5:0 მოგებული შეხვედრის შემდეგ გააკეთა. იმ მატჩში „კაჭკაჭებმა" ჩინებულად ითამაშეს, რაც ანგარიშზეც კარგად აისახა. არადა, „ნიუკასლმა" პრემიერლიგა საშინლად დაიწყო და ჯერჯერობით ცხრილის ფსკერზეა. უკვე რობსონის გადაყენებაზეც ლაპარაკობდნენ, მაგრამ ჰოლანდიელებთან გამარჯვებამ „ნიუკასლის" თავკაცსაც და გულშემატკივრებსაც იმედი ჩაუსახა, რომ ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება. რობსონმა ამაზეც ისაუბრა და განაცხადა, დარწმუნებული ვარ, წარუმატებლობების სერია დამთავრდა და ფორტუნა ისევ ჩვენსკენ შემობრუნდაო.

**გიორგი ძაძამაძე**

# ფიქრი თეძოზე
## რაული ვალენსიას გასახარად დაშავდა



**თეძოს ტრავმამ** რაულს შესაძლოა „ვალენსიასთან" თამაში გამოატოვებინოს. ეს შეხვედრა „რეალსა" და „ვალენსიას" შორის ხვალ, შაბათს გაიმართება. იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ სეზონის დასაწყისში „ვალენსია" ჩინებულ ფორმაშია.

რაული წინა კვირაში, „მალაგასთან" თამაშის დროს დაშავდა. გეხსომებათ, ის თამაში მადრიდელებმა 3:1 მოიგეს, ხოლო მისი დამთავრების შემდეგ ექიმებმა განაცხადეს, რომ „რეალის" კაპიტანს მოცდა და ნატკენ ადგილზე დაკვირვება მოუწევს.

ექიმმა ხუან კარლოს ერნანდესმა განაცხადა: „თუ ყველაფერი კარგად იქნა რაული პარასკევ საღამოს ტესტს გაუძლებს, თუმცა ვეჭვობ, რომ ასე იყოს, რადგან ამ ტიპის ტრავმებს ჩვეულებრივ ორ-სამ დღიანი დასვენება სჭირდება".

რონალდოს მსგავსად ახალი სეზონის ოთხ შეხვედრაში რაულმაც სამი გოლი გაიტანა და მადრიდელები შიშობენ, რომ მისი არყოფნა გუნდს შეიძლება ძლიერ დააჩნდეს.

თუმცა მადრიდელთა ბანაკში მხოლოდ ცუდი ამბები როდია. მაგალითად, მცველს, ივან ელგერას გამოჯანმრთელება და უკვე ოთხშაბათს, „ბერნაბეუს თასზე" „რივერ პლეიტთან" შეხვედრაში მონაწილეობა დაცვაში, ისედაც შესუსტებული გუნდისთვის ნამდვილად კარგი ამბავია.

დღეს, „რეალი" და „ვალენსია" თანაბარი ქულებით არიან და „დეპორტივო ლა კორუნიას" ორი ქულით ჩამორჩებიან. „დეპორტივოს" ჯერჯერობით ყველა თამაში მოგებული აქვს.

**ბაჩუნა ძიძია**

# მერე რა, რომ თვალს დააკლდა

**მსოფლიოს** ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი ოლივერ კანი, რაც ფინალში შეცდა, მას მერე ძველებურად დამაჯერებლად ვეღარ გამოიყურება. ჰოდა, გერმანულმა პრესამაც ნელ-ნელა დაიწყო მისი კრიტიკა. ხოლო ახლა, როდესაც ბუნდესლიგის პირველ ექვს ტურში კანის კარში ათი გოლი გავიდა, ხომ წარმოგიდგენიათ, რა დღეში ჩაავდებდნენ ჟურნალისტები.

კანს მოთმინების ფიალა აევსო და განაცხადა: „მე მივიღებ ჩემი კრიტიკის ერთ პროცენტს, 99-ს კი არა, რადგანაც შენიშვნები ისეთი ხალხისგან მოდის, რომლებსაც არაფერი გაეგებათ მეკარეობისა. ვითამაშებ მხოლოდ იქამდე, სანამდეც მაღალ დონეზე ასპარეზობა შემეძლება. ვფიქრობ, ზედმეტად მაკრიტიკებენ. საერთოდ, მას შემდეგ, რაც პრესამ ჩემი პირადი ცხოვრების გარჩევა დაიწყო, ამ თემამ წინ გადმოინაცვლა, ჩემი თამაშის ხარისხზე კი ბევრად ნაკლებს ლაპარაკობენ. უკმაყოფილებაც აქედან მოდის."

შეგახსენებთ, რომ გერმანულ პრესაში ბოლო დროს ხშირად იბეჭდება სტატიები კანისა და მავან მებუფეტე ქალს შორის ურთიერთობაზე. იქაური ჟურნალ-გაზეთები იუწყებიან, რომ 33 წლის გოლკიპერს მანამდე ჰქონდა ურთიერთობა ამ ქალთან, ვიდრე მისი მეუღლე დაფეხმძიმდებოდა.

კანმა ისიც განაცხადა, ბოლო დროს მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემები შემექმნა და ხშირად თვალებში ბურუსი მედგაო. თუმცა ახლა, მისივე თქმით, ყველაფერი გამოსწორდა და მსოფლიოს საუკეთესო მეკარე ძველებურად ათამაშდება.

**გიორგი ძაძამაძე**

*თითქმის ყველა ბრაზილიელი ერთნაირია — ძუძუს რომ მოსწყდება, ბურთს ითხოვს. მტვერში ამოგანგლულნი, გარუჯული შიშველი ფეხებით თამაშობენ ქუჩაში. მერე გამოჩნდება ვინმე თვალმახვილი ბიძა, რომელიც ნიჭიერ ბიჭებს აგროვებს და დიდ გუნდში მიჰყავს. ევროპასთან შედარებით ბრაზილიურ დიდ გუნდში მცირე ჯამაგირია. ამიტომ ფეხბურთელებს ცალი თვალი ბებერი კონტინენტისკენ უჭირავთ. სამხრეთ ამერიკიდან ევროპაში წასვლა და დამკვიდრება იოლი არ არის — დედის პაპის ბებია პორტუგალიელი, იტალიელი, ესპანელი ან სხვა ევროპული ქვეყნის წინაპარი თუ არ გყავს, უცხოელად ჩაგთვლიან, რადგან ლეგიონერებზე ლიმიტია დაწესებული. სამხრეთამერიკელი ბიჭებიც ცდილობენ, რომ პასპორტები გააყალბონ, რათა ბებერ კონტინენტზე შინაურებად მიიღონ. ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე თაღლითობაში არაერთი ვაჟკაცი ამხილეს, მაგრამ ლუსიანო სიკეირა დე ოლივეირა (იგივე ერიბერტო კონსეისაო და სილვა) თავისი კლუბების მეპატრონეებს და საემიგრაციო სამსახურს ოთხი სეზონის განმავლობაში ასულელებდა. თუ გაინტერესებთ როგორ მოახერხა, თვითონ გვიამბობს*

# სიყალბე სიღარიბის წინააღმდეგ

## ჩემი პასპორტი კარგად თამაშობს

„1998 წლის ზაფხულში აპენინებზე რომ ჩავედი, ჩემი ნამდვილი გვარ-სახელი არავინ იცოდა. „ბოლონიამ" ნახევარმცველი ერიბერტო კონსეისაო და სილვა იყიდა, რომელსაც იტალიელი წინაპრები ჰყავდა. სწორედ ამიტომ მიმიღეს ევროპელად და ლეგიონერთა სიაში არ მოვხვდი. ერიბერტოს პასპორტში დაბადების თარიღად მითითებული იყო 1979 წლის 21 იანვარი. იტალიაში ისე მიყურებდნენ, როგორც 19 წლის ნიჭიერ ფეხბურთელს. სინამდვილეში კი 22-ის ვიყავი.

ცხოვრება ბავშვობაშივე ამერია. ულარიბეს ოჯახში დავიბადე. შვიდი წლისას დედა გარდამეცვალა. სიმსივნე ჰქონდა, რომლის მკურნალობაც ევროპაში შესაძლებელია, მაგრამ საამისოდ ფულს ვინ მოგვაშველებდა, ბრაზილიაში ყველას თავისი გასაჭირი და ცრემლი ახრჩობს. 13 რომ შემისრულდა, მამაც გამომეცალა.

ფეხბურთის თამაში ქუჩაში დავიწყე. მალე რიო დე ჟანეიროს გარეუბანში, რიო ბონიტოს გუნდ „ბოა ესპერანზაში" აღმოვჩნდი. ცხრა პირი ოფლის მოდენამდე ვვარჯიშობდი, რადგან ფეხბურთი ჩემი ოჯახის გადარჩენის ერთადერთ საშუალებად მიმაჩნდა. და-ძმებს სიღარიბის მორევიდან სხვა გზით ვერასოდეს ამოვიყვანდი.

გავიდა ხანი. შრომა დამიფასდა და ქვეყნის ერთ-ერთ სახელოვან გუნდ „პალმეირასში" გადამიყვანეს. 20 წელი რომ შემისრულდა, ძირითად შემადგენლობაში მათამაშეს, მაგრამ ხელფასი მაინც მიზერული მქონდა.

ბრაზილიურ ფეხბურთში და საერთოდ სამხრეთამერიკულში, ფული ძალიან ცოტაა. ასე რომ არ იყოს, ჩვენი ფეხბურთელები ევროპას არ მიაწყდებოდნენ. აქაურები მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობენ: როგორმე ბებერ კონტინენტზე მოხვდნენ და ცხოვრება გაიუმჯობესონ.

მე გამონაკლისი არ ვყოფილვარ. ამიტომ როცა „პალმეირასში" თამაშისას ჩემთან აგენტი მოვიდა და იტალიური კლუბის ვარიანტი შემომთავაზა, ორივე ხელით ჩავებღაუჭე.

მან წლოვანება მკითხა და დაიბღვირა: „დაბერებულხარ, ძმაო, სერია A-ში თამაში თუ გინდა, ოდნავ უნდა გაახალგაზრდავდე, თან ცოტა-ცოტა გაიტალიელებაც არ გაწყენდა."

თავიდან ვერაფერს მივხვდი. ერთი კი გავიფიქრე, ნეტავ, რას მიედ-მოედება ეს კაცი-მეთქი? რას ნიშნავს გაახალგაზრდავება და გაიტალიელება?

აგენტმა ყველაფერი ამიხსნა. მან მონახა სხვა ფეხბურთელი, რომელიც ჩემზე უმცროსი იყო და ნამდვილად ჰყავდა იტალიელი წინაპრები. ფეხბურთელს, ალბათ თავადაც ხვდებით, ერიბერტო ერქვა. არავითარი ჯადო! ხელის და ფულის სწრაფი მოძრაობა და პასპორტიც მზადაა. სიფათი ჩემია — გვარ-სახელი სხვისი.

მერწმუნეთ, იმ მომენტში არც კი მიფიქრია, კანონს თუ ვარღვევდი. უქონელი და-ძმები და ნათესავები მახსენდებოდა. თვითონ განსაჯეთ, ჩემი საქციელით ვინმესთვის ზიანი ხომ არ მიმიყენებია? მთავარი ის იყო, რომ იტალიაში წავსულიყავი. ბოლოს და ბოლოს, ფეხბურთი პასპორტს კი არა, მე უნდა მეთამაშა.

აპენინებზე ჩავედი და 1998 წელს „ბოლონიასთან" კონტრაქტი გავაფორმე. ორი სეზონი იქ გავატარე. ძირითად შემადგენლობაში ხან მათამაშებდნენ, ხან — არა. ყველაფერი „კიევოში" ჩემი გაყიდვით დასრულდა, რომელიც სერია B-ში გამოდიოდა. ამ გუნდის სახელიც კი არასოდეს გამეგო, მაგრამ ჩემთვის სულ ერთი იყო, იქაც გვარიანად მოზრდილ ხელფასს მაძლევდნენ.

„ბოლონიასთვის" ერიბერტო ვიყავი და „კიევოსაც" იგივე სახელით ვეწვიე. სატრანსფერო საბუთების ქექვისას სიყალბეზე არავინ დაეჭვებულა. ახალ გუნდს მალე მოვერგე და სერია A-ში ავლზევდით.

კარიერა ისე ამეწყო, უკეთესს ვერ ინატრებდი. რიო-ბონიტოს გარეუბნიდან პირველი კაცი ვიყავი, ასეთი ცნობილი რომ გავხდი. იტალიაში ბევრი მეგობარი შევიძინე. რაღა დაგიმალოთ და, ნაკლებად მაღელვებდა სხვისი გვარ-სახელით ცხოვრება.

ვინ თქვა, პოპულარობა კარგიაო? როცა ჩემს შესახებ ბრაზილიაში შეიტყვეს, ნელ-ნელა სიმართლე ამოტივტივდა. გაზეთებმა თაღლითობის ამბავი გამომიჩხრიკეს, ჟურნალისტები კი გამუდმებით მაწუხებდნენ. რა უნდა მეთქვა, უარყოფა სისულელე იქნებოდა. იძულებული გავხდი, მეღიარებინა და სასჯელს დაველოდებოდი. რა დროს მიმუხთლა ბედმა! იმ მომენტში „ლაციოს" ჩემი შეძენა სურდა და ტრანსფერი, ცხადია, ჩაიშალა.

შვიდთვიანი დისკვალიფიკაცია ამაკრეს. ეს ხომ თითქმის მთელი სეზონია! მადლობა კიევოელებს, რომლებიც გაჭირვების ჟამს მხარში ამომიდგნენ და არ მიმატოვეს. გუნდთან ერთად ვვარჯიშობდი, ვერთობოდი, მაგრამ ტურის დროს მარტო ვრჩებოდი. დანარჩენები სათამაშოდ მიემგზავრებოდნენ, მე კი შინ მოწყენილი ვიჯექი. გულწრფელად გეტყვით, ბალღივით ვტიროდი. ასე გაგრძელდა შობამდე. შობის დღეს კი ორმაგი საჩუქარი მივიღე: დიდი ხნის მეგობარ გოგონაზე ვიქორწინე, რომელთანაც ერთი შვილი, გაბრიელი შემეძინა.

მალე ფეხბურთის ფედერაციამ სასჯელი შემიმსუბუქა — დისკვალიფიკაციის ვადა 4 თვით შემიმცირა, სამაგიეროდ კი 100 ათასი ევროთი დამაჯარიმა. ფული მიწისძვრით დაზარალებულთა ფონდში გადარიცხეს.

ეს დაუვიწყარი დღე იყო. ფულს ვინ ჩიოდა, ფეხბურთის თამაშს რომ შევძლებდი, ის მიხაროდა.

უცნაურია, მაგრამ თამაშის ნებართვა ოფიციალურად 21 იანვარს მომცეს. ჩემს ყალბ პასპორტში დაბადების თარიღადაც სწორედ 21 იანვარი ეწერა.

**ლუსიანო სიკეირა დე ოლივეირა**



ლუსიანო, იგივე ერიბერტო

# უბრალოდ, შესანიშნავი



ზიდანი და რივალდო: ნუთუ ესენიც ერთად?

**ბრაზილიელი** ჯადოქარი რივალდო „მილანის" სათადარიგო სკამთან ძმაკაცობით მეტად უკმაყოფილოა.

მოგეხსენებათ, ამ რამდენიმე დღის წინ მეორე დიდმა ბრაზილიელმა, რეალელმა რონალდომ თავისი 27-ე დაბადების დღე აღნიშნა, სადაც თავისი განუყრელი დოსტიც მიიწვია. იქ შამპანურისა და მხიარული სამბას თანხლებით ოკეანისგაღმელებმა მეტად სერიოზული საქმეც გაარჩიეს — კასტილიური გრანდის „კიჭამ" აპენინელთა უყურადღებობით აღშფოთებულ რივალდოს „რეალში" გადასვლა ურჩია.

მადრიდული „ასიც" („რეალის" დიდი გულშემატკივარი) უმალ დაინტერესდა ძმაბიჭების შეკრებით და „მილანის" სათადარიგო ჯადოქარსაც გაესაუბრა.

**— რონალდომ რავის დაბადების დღეზე გითხრათ, რომ ფლორენტინო პერესს სთხოვდა თქვენს „რეალში" აყვანას. ანუ მეგობარმა დახმარების ხელი მეტად საჭირო დროს გამოგიწოდათ...**

— უბრალოდ მას სხვანაირად მოქცევა არ შეუძლია. რონიმ თავისთვის განსაკუთრებულ დღეს, ჩემთან საუბრად მოიცალა, რათა ეთქვა რომ პრეზიდენტს ჩემს შესახებ სთხოვდა. ეს ჩემთვის ბევრს ნიშნავს.

**— შეიძლება, რომ უკვე დეკემბერში ვიხილოთ რივალდო „რეალის" მაისურით?**

— ჯერ ვერ გეტყვით. „რეალში" თამაშით ძალიან კმაყოფილი ვიქნები, თუმც მირჩევნია, თავდაპირველად „მილანთან" გავარკვიო ურთიერთობა. კონტრაქტით ორი წელი კიდევ მიწევს „მილანში" ყოფნა და ისიც გაითვალისწინეთ, რომ ამ გუნდს უდიდეს პატივს ვცემ. დეკემბრამდე კიდევ ორი თვეა დარჩენილი და ვნახოთ, ამ ხნის განმავლობაში ორივე გუნდის წარმომადგენლები „რეალში" ჩემი შესაძლო გადასვლის თაობაზე რაიმე შეთანხმებას თუ მიაღწევენ.

**— ესე იგი, კითხვაზე პირდაპირ პასუხს გაურბიხართ...**

— მაშინ შევეცდები, უფრო გასაგებად გიპასუხოთ. ახლა ჩემს კარიერაში არცთუ სახარბიელო ეტაპია. რთულია, როდესაც ყოველდღე ვარჯიშობ, ხოლო მნიშვნელოვანი მატჩების დროს სათადარიგოთა სკამს ვერ სცილდები. ფეხბურთელთა უმრავლესობას მადრიდის „რეალში" მოხვედრა სურს და მითუმეტეს მე, ჩემი მილანური სიტუაციიდან გამომდინარე. ფეხბურთი ჩემი ცხოვრებაა, იტალიაში კი მისით დიდხანს ტკბობა ნამდვილად არ მიწევს. გარდა ამისა, მინდა, ყველამ იცოდეს, რომ რივალდო არ დაბერებულა — ახლაც ისე შემიძლია ვითამაშო, როგორც ადრე. ხანდახან მგონია, ბურთისადმი სიყვარულში ვერც ერთი ყმაწვილი ფეხბურთელი ვერ შემედრება.

**— შეუძლია კი რომელიმე ფეხბურთელს, თუნდაც ვარსკვლავს, ხანგრძლივად უთამაშებლობის დროსაც კი მოახერხოს ფორმის შენარჩუნება?**

— უკვე ვთქვი და ისევ გავიმეორებ — ფიზიკურად და ტექნიკურად ძველებურად ძლიერი ვარ და ჩემს ბრძოლისუნარიანობასაც კიდევ ბევრჯერ დავამტკიცებ. სრული დატვირთვით ვვარჯიშობ, რათა უმაღლეს დონეზე თამაშისთვის ნებისმიერ დროს მზად ვიყო. ვიცი, რომ ადრე თუ გვიან რომელიმე გრანდი საბრძოლველად მომიხმობს და აუცილებლად საუკეთესო ფორმაში უნდა ვიყო.

**— „მილანი" თუ დათანხმდება რივალდოს მადრიდში გამგზავრებაზე?**

— თუ „მილანს" ჩემი გადასვლით რაიმე პრობლემა არ შეექმნება და ორივე კლუბი საერთო ენას გამონახავს, უდიდესი სიამოვნებით წავალ „რეალში" სათამაშოდ.

**— რას შესთავაზებს რივალდო მადრიდის „რეალს", თუ პერესი და ვალდანო დეკემბერში გუნდში მის აყვანას განიზრახავენ?**

— უბრალოდ, შესანიშნავ ფეხბურთს. იქ ისეთი ბიჭები ბურთაობენ, ცუდად თამაში სირცხვილი იქნება.

**— ვის გამოარჩევდით კასტილიელთა შემადგენლობიდან?**

— მომიტევეთ, მაგრამ ვერ გიპასუხებთ. შეუძლებელია, ამ გუნდიდან რომელიმე ფეხბურთელი გამოარჩიო.

**— თან თქვენ „რეალთან" ადაპტაცია არ გაგიჭირდებათ, იქაურთა შორის ხომ ბევრი თქვენი კარგი მეგობარიცაა...**

— მართალს ამბობთ, მადრიდში დიდი მეგობრები მყავს. ლუიშ ფიგუ, რონალდო, რობერტო კარლოსი... ასე რომ, ადაპტაციის სიძნელეზე ლაპარაკიც ზედმეტია!

# სულელი იტალიის სასტუმროში

## წყეულიმც იყოს მონა ღვთისა ბაირონ მორენო

„სარბიელში" რამდენჯერმე გვეწერა ეს ამბავი: ეკვადორელი მსაჯი ბაირონ მორენო ქვეყნის დედაქალაქ კიტოს საკრებულოში კენჭს რომ იყრიდა, ადგილობრივი ამომრჩევლის გულის მოსაგებად „ლიგა დე კიტოსა" და ხუაიაკილის „ბარსელონას" შეხვედრაში პირველთა სასარგებლოდ სისულელეები ჩაიდინა. და თუ „სარბიელის" მკითხველი ბრძანდებით, უთუოდ გეცოდინებათ ისიც, რომ სინიორ მორენოს სისულელეებმა ვერ უშველა და ქალაქის საკრებულოში მისთვის ადგილი არ მოიძებნა: მორენოს ხმა მხოლოდ 25905 ადამიანმა მისცა, რამაც კონკურენტთა სიაში ოცდამეერთე პოზიციაზე გაიყვანა, ხოლო იქ შესასვლელად მეთხუთმეტეზე ყოფნა მაინც იყო საჭირო.

მორენოს არჩევნებში კონსერვატული პარტია უჭერდა მხარს. ეს ის პარტიაა, რომელსაც სათავეში ქვეყანაში უმდიდრესი ალვარო ნოვოა უდგას, ხოლო ეს ის ნოვოაა, რომელმაც ნოემბერში საპრეზიდენტო არჩევნები მოიგო.



და მორენოს რაღა? მსაჯის „შვიშტოკი"?

საეჭვოა, რადგან საბრალო მსაჯზე უკვე ყველა აგდებით ლაპარაკობს. თავიდან, მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის დღეებში, როდესაც მასპინძელ სამხრეთ კორეასთან შეხვედრაში იტალიას შინ დაბრუნება „გაუნაღდა", მორენოს მსოფლიო აკრიტიკებდა, სამშობლო კი გააფთრებული იცავდა, აქებდა და ადიდებდა, მაგრამ შემდეგ ზემოხსენებული „წინასაარჩევნო თამაშისას" სამშობლომაც ნახა რა შვილიც ბრძანდებოდა და...

...და მოდი, ერთ ხალხურ ადათზე გეტყვით. ეკვადორული ადათი ისაა, რომ სააახალწლოდ მოსახლეობა ფანჯრებიდან საძულველი ადამიანების ფიგურებს, საფრთხობელებს ყრის. ათა ბაბადან ისე იყო, რომ ფანჯრებიდან ძირითადად პოლიტიკოსები ცვიოდნენ, მაგრამ ახლა ეკვადორის ქალაქებში, უფრო ზუსტად კი, სპეციალურ მაღაზიებში გამოჩნდა ფეხბურთის მსაჯის, ბაირონ მორენოს ფიგურები — ყიდვა და გადაგდებაღა აკლია.

თუმცა მორენოს გადაგდება არც ისე ადვილია, რადგან ერთობ გულადი და მოთავხედო ვაჟბატონი ბრძანდება. აი, მაგალითი: იტალიაში არის მწვანეში ჩაფლული ადგილი (სოფელს ნუ ვუწოდებთ, რადგან ღორები და ქათმები არ ჰყავთ) მარემა, სადაც ერთ-ერთ ტურისტულ ფირმას კოხტა სახლები აქვს ერთმანეთისგან განცალკევებით ჩადგმული და ცეცხლის ფასად აქირავებს. იქირავე ერთი კვირით და ცოლს უთხარი, რომ მივლინებაში მიდიხარ... თუ გინდა, საყვარელს უთხარი, რომ მივლინებაში მიდიხარ, სულ ერთია, ოღონდ ძვირია.

ერთი სიტყვით, როდესაც ამ, ჩვენთვის უინტერესო ტურისტული ფირმის მავანი თანამშრომელი კომპიუტერში კლიენტების მონაცემებს და სხვა რამე-რუმეებს ამოწმებდა, გადააწყდა სახელსა და გვარს — ბაირონ მორენო. გადააწყდა და შეფთან გავარდა. მოკლედ, ამბავი გახმაურდა. იტალიელი ჟურნალისტები ფირმის პატრონს მიადგნენ.

„ჩემი კლიენტის კომენტირებას ვერ ვიკადრებ. „სკუადრა აძურას" მეც ვქომაგობდი და კორეასთან რომ წავაგეთ, მსაჯს დიდხან გულიანად ვაგინებდი. მაგრამ გავიდა დრო, გაბრაზებამ გადამიარა და ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. ქომაგობა ქომაგობაა, ბიზნესი ბიზნესი" — იყო პასუხი.

ერთი სიტყვით, მორენო მოთავხედოა და ცხადია გულადი.

...გულადი? კი მაგრამ, თუ გულადია, რატომ ჩამოიცვა ბეისბოლისტის ქუდი და რად გაიკეთა შავი სათვალე რომის აეროპორტში? ეს იანვარში მოხდა, როდესაც ეკვადორელი მსაჯი რომიდან კიტოში ბრუნდებოდა და რეისზე ჩასხდომის გამოცხადებას ელოდა. იჯდა სკამზე და ცალი თვალით მეზობელ მღვდელს უყურებდა, რადგან... თავად მღვდელი უყურებდა რაღაცნაირად.

მორენოს არ გაუმართლა, მღვდელმა იცნო და იქვე, აეროპორტში „დასწყევლა". „წყევლაზე" ხალხმა მოიხედა, რა ხდებაო და, ყურს „წყეულიმც იყოს მონა ღვთისა ბაირონ მორენო" რომ მოხვდა, მღვდელს მხარი აუბა.

და იცით ვინ იყო ის მღვდელი? ის გახლდათ წარმოშობით გერმანელი, სულით კი იტალიელი ჰენრიხ IV. როგორც მოგახსენეთ, სასულიერო პირი (თან მეოთხე თაობის) და სხვათა შორის, ფეხბურთის კლუბ „პიზას" პრეზიდენტი.

ხოლო რომში ბაირონ მორენო იმიტომ ჩავიდა, რომ ტელეშოუ STUPIDO HOTEL ანუ „სულელურ სასტუმროში" მიეღო მონაწილეობა. ნუ, გადაცემას, ალბათ, უფრო „სულელების სასტუმრო" ჰქვია, მაგრამ ამას თავი დავანებოთ. იქ, „სასტუმროში" მორენომ ფეხი ფეხზე არხეინად გადაიდო და დიდი გარჩევა წამოიწყო, იმ მატჩში — იმ მატჩზეა საუბარი! — ჯოვანი ტრაპატონის დელ პიერო არ უნდა გაეყვანა, მონტელა და ინძაგი სკამზე არ უნდა დაესვა და ბევრიც სხვაო. ერთი სიტყვით, იქაქანა, ჰონორარი ჩაიჯიბა და შინ დაბრუნდა (აეროპორტში დაწყევლილი), სადაც ზემოხსენებულ, წინასაარჩევნო მატჩში ჩადენილ დანაშაულთათვის 20-მატჩიანი სასჯელი მოიხადა და სასტვენსაც თავიდან ჩაჰბერა.

მაგრამ მოედანზე მის ყოველ გამოჩენს ახალი სკანდალი სდევდა, რის გამოც პროფესიაზე საბოლოოდ ხელი აიღო.

...და, რომ აიღო ხელი პროფესიაზე, იტალიიდან მიწვევა მიიღო, ჩამოდი, ჩვენთან ჩასტვინეო. ნუ გაგიკვირდებათ — მორენო მართლა მიიწვიეს, ოღონდ ეგრეთწოდებული „ღამის ფეხბურთის" ანუ შვიდი შვიდზეს გასაძღოლად.

„დიახ, მორენო ფეხბურთიდან წავიდა, მაგრამ განა დააზუსტა რომლიდან?" — ხუმრობდნენ იტალიური გაზეთები.

**ბაჩუნა ძიძია**



# როგორ ბრძანდებით, ბატონო მაიერ?

**სექტემბრის** დასაწყისში დანია — რუმინეთის მატჩი (2:2) შვეიცარიელმა ურს მაიერმა განსაჯა. მაიერმა იმ შეხვედრაში მასპინძელთა სასარგებლოდ საეჭვო თერთმეტმეტრიანი დანიშნა. თამაში სტუმრებმა სათავისოდ მაინც შეაბრუნეს, მაგრამ შვეიცარიელმა მატჩი ვიკინგთა გამთანაბრებელ გოლამდე გაწელა.

| 22.00 | 5037 | სევილია-მურსია | 2.05 | 2.2 | 5.3 | 1.06 | 1.47 | 1.55 |
| 00.30 | 5038 | ატლეტიკო-ბარსელონა | 3.1 | 2.1 | 3.1 | 1.25 | 1.55 | 1.25 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | **26 სექტემბერი** | | |
| 24.00 | 5301 | არსენალი-ნიუკასლი | 1,7 | 1,9 |
| | | **27 სექტემბერი** | | |
| 19.00 | 5302 | ბირმინგემი-პორტსმუთი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 5303 | ბოლტონი-ვულვერჰემპტონი | 1,75 | 1,85 |
| 19.00 | 5304 | ჩელსი-ასტონ ვილა | 1,85 | 1,75 |
| 19.00 | 5305 | ლესტერი-მანჩესტერი | 1,75 | 1,85 |
| 19.00 | 5306 | საუთჰემპტონი-მიდლსბრო | 1,7 | 1,9 |
| 18.30 | 5307 | ვოლფსბურგი-ლევერკუზენი | 1,6 | 2,0 |
| 18.30 | 5308 | კაიზერსლაუტერნი-ჰანოვერი | 1,6 | 2,0 |
| 18.30 | 5309 | მიონხენგლადბახი-ბოხუმი | 1,6 | 2,0 |
| 18.30 | 5310 | ჰანზა-ბაიერნი | 1,8 | 1,8 |
| 18.30 | 5311 | კიოლნი-ვერდერი | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 5312 | მიუნხენი-შტუტგარტი | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 5313 | დორტმუნდი-ფრაიბურგი | 1,7 | 1.9 |
| 21.00 | 5314 | რეჯინა-იუვენტუსი | 1,7 | 1,9 |
| 23.30 | 5315 | უდინეზე-ინტერი | 1,65 | 1,95 |
| 22.30 | 5316 | ოსასუნა-დეპორტივო | 1,65 | 1,95 |
| 22.30 | 5317 | სელტა-ვალიადოლიდი | 1,7 | 1,9 |
| 22.30 | 5318 | ბილბაო-სოსიედადი | 1,65 | 1,95 |
| 00.30 | 5319 | ვალენსია-რეალი | 1,6 | 2,0 |
| | | **28 სექტემბერი** | | |
| 18.00 | 5320 | ჩარლტონი-ლივერპული | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 5321 | ბლექბერნი-ფულემი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 5322 | ევერტონი-ლიდსი | 1,7 | 1,9 |
| 20.05 | 5323 | სიტი-ტოტენჰემი | 1,7 | 1,9 |
| 20.30 | 5324 | შალკე-აინტრახტი | 1,75 | 1,85 |
| 20.30 | 5325 | ჰერტა-ჰამბურგი | 1,75 | 1,85 |
| 18.00 | 5326 | კიევო-პერუჯა | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 5327 | მილანი-ლეჩე | 1,8 | 1,8 |
| 18.00 | 5328 | მოდენა-ბოლონია | 1,75 | 1,85 |
| 18.00 | 5329 | პარმა-სიენა | 1,75 | 1,85 |
| 18.00 | 5330 | რომა-ანკონა | 1,85 | 1,75 |
| 18.00 | 5331 | სამპდორია-ბრეშა | 1,7 | 1,9 |
| 23.30 | 5332 | ემპოლი-ლაციო | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 5333 | ალბასეტე-მალიორკა | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 5334 | რასინგი-ვილიარეალი | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 5335 | სარაგოსა-ბეტისი | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 5336 | ესპანიოლი-მალაგა | 1,7 | 1,9 |
| 22.00 | 5337 | სევილია-მურსია | 1,7 | 1,9 |
| 00.30 | 5338 | ატლეტიკო-ბარსელონა | 1,65 | 1,95 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **26 სექტემბერი** | | | | | | | | | |
| 24.00 | 5101 | არსენალი-ნიუკასლი | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 11,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| | | **27 სექტემბერი** | | | | | | | | | |
| 19.00 | 5102 | ბირმინგემი-პორტსმუთი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 19.00 | 5103 | ბოლტონი-ვულვერჰპტ. | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,8 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 19.00 | 5104 | ჩელსი-ასტონ ვილა | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 5,0 | 14,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 19.00 | 5105 | ლესტერი-მანჩესტერი | 10,0 | 10,0 | 20,0 | 11,0 | 4,6 | 3,4 | 25,0 | 12,0 | 2,0 |
| 19.00 | 5106 | საუთჰემპტ.-მიდლსბრო | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 18.30 | 5107 | ვოლფსბ.-ლევერკუზენი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 18.30 | 5108 | კ.ლაუტერნი-ჰანოვერი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 18.30 | 5109 | მ.გლადბახი-ბოხუმი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 18.30 | 5110 | ჰანზა-ბაიერნი | 7,5 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,4 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,4 |
| 18.30 | 5111 | კიოლნი-ვერდერი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 18.30 | 5112 | მიუნხენი-შტუტგარტი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 18.30 | 5113 | დორტმუნდი-ფრაიბურგი | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,8 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 11,0 |
| 21.00 | 5114 | რეჯინა-იუვენტუსი | 7,5 | 10,0 | 20,0 | 9,0 | 4,4 | 3,5 | 20,0 | 10,0 | 2,5 |
| 23.30 | 5115 | უდინეზე-ინტერი | 5,3 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3,2 |
| 22.30 | 5116 | ოსასუნა-დეპორტივო | 4,6 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 22.30 | 5117 | სელტა-ვალიადოლიდი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 22.30 | 5118 | ბილბაო-სოსიედადი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 00.30 | 5119 | ვალენსია-რეალი | 4,2 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| | | **28 სექტემბერი** | | | | | | | | | |
| 18.00 | 5120 | ჩარლტონი-ლივერპული | 7,0 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,6 | 3,5 | 20,0 | 10,0 | 2,5 |
| 19.00 | 5121 | ბლექბერნი-ფულემი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 19.00 | 5122 | ევერტონი-ლიდსი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 20.05 | 5123 | სიტი-ტოტენჰემი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 20.30 | 5124 | შალკე-აინტრახტი | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 11,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 20.30 | 5125 | ჰერტა-ჰამბურგი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 18.00 | 5126 | კიევო-პერუჯა | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 18.00 | 5127 | მილანი-ლეჩე | 1,5 | 20,0 | 40,0 | 3,5 | 5,6 | 17,0 | 35,0 | 17,0 | 17,0 |
| 18.00 | 5128 | მოდენა-ბოლონია | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 18.00 | 5129 | პარმა-სიენა | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 18.00 | 5130 | რომა-ანკონა | 1,4 | 25,0 | 50,0 | 3,6 | 6,0 | 20,0 | 40,0 | 20,0 | 20,0 |
| 18.00 | 5131 | სამპდორია-ბრეშა | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 23.30 | 5132 | ემპოლი-ლაციო | 8,0 | 10,0 | 20,0 | 9,0 | 4,4 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,4 |
| 20.00 | 5133 | ალბასეტე-მალიორკა | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 20.00 | 5134 | რასინგი-ვილიარეალი | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 20.00 | 5135 | სარაგოსა-ბეტისი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 20.00 | 5136 | ესპანიოლი-მალაგა | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 22.00 | 5137 | სევილია-მურსია | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 00.30 | 5138 | ატლეტიკო-ბარსელონა | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |

კროკოს დიდების ბიურო (წერეთლის გამზირი, კორპუსი № 11) 1 სექტემბრიდან ორშაბათობითაც მუშაობს

# საუკეთესო პროგნოზისტის კონკურსი „ფეხბურთი 2003-2004"

## I ეტაპი, V ტური

სახელი, მამის სახელი, გვარი ----------------------

**რჩევა კონკურსანტთან ჩაბარების ბოლო ვადაა 26.09.03**

შტამპის ადგილი

I ეტაპი, V ტური
ჩაბარების ბოლო ვადაა 26.09.03

სახელი, მამის სახელი, გვარი ----------------------

მისამართი----------------------

საკონტაქტო ტელეფონი ----------------------

| დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) |
|---|---|---|---|
| 19.00 | 27.09 | ჩელსი - ასტონ ვილა | |
| 21.00 | 27.09 | რეჯინა - იუვენტუსი | |
| 23.30 | 27.09 | უდინეზე - ინტერი | |
| 18.30 | 27.09 | მიუნხენ 1860 - შტუტგარტი | |
| 18.30 | 27.09 | ჰანზა - ბაიერნი | |
| 23.00 | 27.09 | ბასტია - სოშო | |
| 23.00 | 27.09 | მარსელი - ნიცა | |
| 19.00 | 27.09 | პსვ - ალკმაარი | |


| დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) |
|---|---|---|---|
| 19.00 | 27.09 | ჩელსი - ასტონ ვილა | |
| 21.00 | 27.09 | რეჯინა - იუვენტუსი | |
| 23.30 | 27.09 | უდინეზე - ინტერი | |
| 18.30 | 27.09 | მიუნხენ 1860 - შტუტგარტი | |
| 18.30 | 27.09 | ჰანზა - ბაიერნი | |
| 23.00 | 27.09 | ბასტია - სოშო | |
| 23.00 | 27.09 | მარსელი - ნიცა | |
| 19.00 | 27.09 | პსვ - ალკმაარი | |


## I ეტაპი, VI ტური

| დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) |
|---|---|---|---|
| 18.00 | 28.09 | ჩარლტონი - ლივერპული | |
| 19.00 | 28.09 | ევერტონი - ლიდსი | |
| 20.05 | 28.09 | სიტი - ტოტენჰემი | |
| 23.30 | 28.09 | კიევო - პერუჯა | |
| 19.00 | 28.09 | ვალენსია - რეალი | |
| 19.00 | 28.09 | ბილბაო - სოსიედადი | |
| 19.00 | 28.09 | ატლეტიკო - ბარსელონა | |
| 20.30 | 28.09 | შალკე - აინტრახტი | |


I ეტაპი, VI ტური

| დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) |
|---|---|---|---|
| 18.00 | 28.09 | ჩარლტონი - ლივერპული | |
| 19.00 | 28.09 | ევერტონი - ლიდსი | |
| 20.05 | 28.09 | სიტი - ტოტენჰემი | |
| 23.30 | 28.09 | კიევო - პერუჯა | |
| 19.00 | 28.09 | ვალენსია - რეალი | |
| 19.00 | 28.09 | ბილბაო - სოსიედადი | |
| 19.00 | 28.09 | ატლეტიკო - ბარსელონა | |
| 20.30 | 28.09 | შალკე - აინტრახტი | |


ყურადღება! საკონკურსო ბიულეტენების ჩაბარება შეიძლება 27 სექტემბერს 17 საათამდე ტოტალიზატორ „ტაიმში" და გაზეთ „ახალი ვერსიის" რედაქციაში (მხოლოდ 27 სექტემბერს)

### საკონკურსო ბიულეტენები მიიღება:

*1. ტოტალიზატორ „ტაიმში", კოსტავას ქ.№37*
*2. მეტრო „ვაგზლის მოედანი" პირველი გამოსასვლელი „პლანეტის" ჯიხური №8*
*3. მეტრო „გოცირიძე" „ფორტე 4"*
*4. დოლიძის ქუჩის კუთხეში „პლანეტის" ჯიხური №18 ატელიეს წინ*
*5. მეტრო „ვარკეთილი" „ფორტე 2"*
*6. მეტრო „სამგორი" „ფორტე 9"*
*7. მეტრო „თავისუფლების მოედანი" მაღაზია „თბილისი"*
*8. მეტრო „ახმეტელი" „ფორტე 7"*
*9. მეტრო „ღრმაღელე" „პლანეტის" ჯიხური №20*
*10. მეტრო „დიდუბესთან" „პლანეტის" ჯიხური №17*
*11. გადასასვლელ ხიდთან „პლანეტის" ჯიხური №16*
*12. მარჯანიშვილის მოედანზე „პლანეტის" ჯიხური №15*
*13. „მაცნეს" ჯიხური №22 (უნივერსიტეტის პირდაპირ)*
*14. „მაცნეს" ჯიხური №29 (მეცხრე საავადმყოფოს პირდაპირ)*
*15. ქუთაისში ნიუპორტის ქ. 1 ოთახი 21 (მესხიშვილის თეატრის უკან)*
*ყველა მიმღები პუნქტი აღნიშნული ფორტეთი მდებარეობს მეტროში*

**პასუხი კონკურსანტთა კითხვებზე:**
პროგნოზის გრაფაში მითითებული უნდა იყოს ანგარიში.
შეიძლება პროგნოზის ნებისმიერი რაოდენობის ვარიანტების ჩაბარება (დებულების მე-13 პუნქტი)
კონკურსის დებულება იხილეთ გაზეთ „ახალ ვერსიაში"

## I ეტაპი, VII ტური

სახელი, მამის სახელი, გვარი ----------------------

**რჩევა კონკურსანტთან ჩაბარების ბოლო ვადაა 29.09.03**

შტამპის ადგილი

I ეტაპი, VII ტური
ჩაბარების ბოლო ვადაა 29.09.03

სახელი, მამის სახელი, გვარი ----------------------

მისამართი----------------------

საკონტაქტო ტელეფონი ----------------------

| დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) |
|---|---|---|---|
| 23.45 | 30.09 | სელტიკი - ლიონი | |
| 23.45 | 30.09 | ანდერლეხტი - ბაიერნი | |
| 23.45 | 30.09 | ინტერი - დინამო (კიევი) | |
| 21.30 | 30.09 | ლოკომოტივი - არსენალი | |
| 23.45 | 30.09 | მონაკო - აეკ | |
| 23.45 | 30.09 | დეპორტივო - პსვ | |
| 23.45 | 30.09 | ოლიმპიაკოსი - იუვენტუსი | |
| 23.45 | 30.09 | გალათასარაი - სოსიედადი | |


| დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) |
|---|---|---|---|
| 23.45 | 30.09 | სელტიკი - ლიონი | |
| 23.45 | 30.09 | ანდერლეხტი - ბაიერნი | |
| 23.45 | 30.09 | ინტერი - დინამო (კიევი) | |
| 21.30 | 30.09 | ლოკომოტივი - არსენალი | |
| 23.45 | 30.09 | მონაკო - აეკ | |
| 23.45 | 30.09 | დეპორტივო - პსვ | |
| 23.45 | 30.09 | ოლიმპიაკოსი - იუვენტუსი | |
| 23.45 | 30.09 | გალათასარაი - სოსიედადი | |


## I ეტაპი, VIII ტური

| დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) |
|---|---|---|---|
| 23.45 | 01.10 | პანათინაიკოსი - რეინჯერსი | |
| 23.45 | 01.10 | შტუტგარტი - მანჩესტერი | |
| 23.45 | 01.10 | მარსელი - პარტიზანი | |
| 23.45 | 01.10 | პორტო - რეალი | |
| 23.45 | 01.10 | ჩელსი - ბეშიქთაში | |
| 23.45 | 01.10 | სელტა - მილანი | |
| 23.45 | 01.10 | ლაციო - სპარტა | |
| 23.45 | 01.10 | აიაქსი - ბრიუგე | |


I ეტაპი, VIII ტური

| დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) |
|---|---|---|---|
| 23.45 | 01.10 | პანათინაიკოსი - რეინჯერსი | |
| 23.45 | 01.10 | შტუტგარტი - მანჩესტერი | |
| 23.45 | 01.10 | მარსელი - პარტიზანი | |
| 23.45 | 01.10 | პორტო - რეალი | |
| 23.45 | 01.10 | ჩელსი - ბეშიქთაში | |
| 23.45 | 01.10 | სელტა - მილანი | |
| 23.45 | 01.10 | ლაციო - სპარტა | |
| 23.45 | 01.10 | აიაქსი - ბრიუგე | |


ყურადღება! საკონკურსო ბიულეტენების ჩაბარება შეიძლება 30 სექტემბერს 17 საათამდე ტოტალიზატორ „ტაიმში" და გაზეთ „ახალი ვერსიის" რედაქციაში (მხოლოდ 30 სექტემბერს)

## I ეტაპის I ტურის წინასწარი შედეგები

| ადგ. | გვარი, სახელი, მამის სახელი | |
|---|---|---|
| 1 | გაბელაია კახა ჟუკას ძე | 39 |
| 2-9 | ბლუაშვილი ზურაბ ნოდარის ძე | 31 |
| 2-9 | გორგიშელი შალვა ჯუმბერის ძე | 31 |
| 2-9 | გორელაშვილი დავით გურამის ძე | 31 |
| 2-9 | თოფჩიშვილი ლერი ირაკლის ძე | 31 |
| 2-9 | ლომიძე გიორგი მალხაზის ძე | 31 |
| 2-9 | ქოჩლაძე ზურაბ ანგის ძე | 31 |
| 2-9 | ღვაჩლიანი ირაკლი ფაიზორის ძე | 31 |
| 2-9 | ცხვედიანი თეიმურაზ ვაჟას ძე | 31 |
| 10 | გრიგორაშვილი თამაზ დავითის ძე | 30 |
| 11-12 | ამირეჯიბი გოჩა შოთას ძე | 29 |
| 11-12 | ფხაკაძე ზურაბ გურგენის ძე | 29 |
| 13-21 | ბეგიაშვილი ანა მიხეილის ასული | 28 |
| 13-21 | ვეშაპიძე გია შოთას ძე | 28 |
| 13-21 | მჭედლიშვილი ილია კობას ძე | 28 |
| 13-21 | ნონიკაშვილი მიხეილ ნუგზარის ძე | 28 |
| 13-21 | ჟღენტი მალხაზ ნიკოლოზის ძე | 28 |
| 13-21 | სამხარაძე გოჩა ნაულის ძე | 28 |
| 13-21 | ფირცხალავა ლევან ტარიელის ძე | 28 |
| 13-21 | ქურდაძე ირაკლი ალექსანდრეს ძე | 28 |
| 13-21 | წულაია აკაკა ალფეზის ძე | 28 |
| 22-27 | ბახტაძე ნიკოლოზ ვლადიმერის ძე | 26 |
| 22-27 | კალანდარიშვილი ზაალ ალექსანდრეს ძე | 26 |
| 22-27 | ფეიქრიშვილი მერაბ ჯემალის ძე | 26 |
| 22-27 | ცქვიტაია სანდრო ალექსანდრეს ძე | 26 |
| 22-27 | ხმალაძე ინეზა თემურის ას | 26 |
| 22-27 | ჯორბენაძე სერგი სანდროს ძე | 26 |

## I ეტაპის II ტურის წინასწარი შედეგები

| ადგ. | გვარი, სახელი, მამის სახელი | ქ. |
|---|---|---|
| 1 | გიორგაძე ოთო კობას ძე | 44 |
| 2 | ბლუაშვილი ნოდარ ზურაბის ძე | 42 |
| 3 | ფირცხალავა ლევან ტარიელის ძე | 41 |
| 4 | თოფჩიშვილი ლერი ირაკლის ძე | 40 |
| 5-10 | ბარბაქაძე გიორგი კონსტანტინეს ძე | 39 |
| 5-10 | გურგენიძე ზურაბ ანტონის ძე | 39 |
| 5-10 | კაციტაძე იუზა დიმიტრის ძე | 39 |
| 5-10 | მორჩიაშვილი პალიკო სევერიანის ძე | 39 |
| 5-10 | ქურდაძე ირაკლი ალექსანდრეს ძე | 39 |
| 5-10 | საბაშვილი გიორგი დომენტის ძე | 39 |
| 11-12 | გრძელიშვილი ლაშა ალექსის ძე | 38 |
| 11-12 | თხელიძე ირაკლი ჯონდოს ძე | 38 |
| 13-16 | ბახტაძე ირაკლი ნიკოლოზის ძე | 36 |
| 13-16 | გორელაშვილი დავით გურამის ძე | 36 |
| 13-16 | მსხვილიძე გიორგი გივის ძე | 36 |
| 13-16 | ჟღენტი მალხაზ ნიკოლოზის ძე | 36 |
| 17 | ჯაფარიძე არჩილ ბიძინას ძე | 35 |
| 18 | სანიკიძე დავით შოთას ძე | 34 |
| 19-31 | აბესაძე თეიმურაზ იაშას ძე | 33 |
| 19-31 | ამირეჯიბი გოჩა შოთას ძე | 33 |
| 19-31 | გალუაშვილი დავით გიორგის ძე | 33 |
| 19-31 | გოგონაძე ჯაბა ბადრის ძე | 33 |
| 19-31 | გოცირიძე არჩილ ილიას ძე | 33 |
| 19-31 | ლაბაძე ლევან ნოდარის ძე | 33 |
| 19-31 | მაზიაშვილი დავით ბიძინას ძე | 33 |
| 19-31 | მახარაშვილი თეიმურაზ თენგიზის ძე | 33 |
| 19-31 | მელიქიშვილი ნუგზარ ლევანის ძე | 33 |
| 19-31 | მჭედლიშვილი ილია კობას ძე | 33 |
| 19-31 | ნიჟარაძე შოთა ვარლამის ძე | 33 |
| 19-31 | ციკოლია მამუკა ვალერიანის ძე | 33 |
| 19-31 | ჭანტურია სოსო კობას ძე | 33 |

## მდგომარეობა ორი ტურის შემდეგ

| ადგ. | გვარი, სახელი, მამის სახელი | ქ. |
|---|---|---|
| 1 | თოფჩიშვილი ლერი ირაკლის ძე | 71 (31-40) |
| 2 | ფირცხალავა ლევან ტარიელის ძე | 69 (28-41) |
| 3-4 | გორელაშვილი დავით გურამის ძე | 67 (31-36) |
| 3-4 | ქურდაძე ირაკლი ალექსანდრეს ძე | 67 (28-39) |
| 5 | ჟღენტი მალხაზ ნიკოლოზის ძე | 64 (28-36) |
| 6-9 | ამირეჯიბი გოჩა შოთას ძე | 62 (29-33) |
| 6-9 | ბარბაქაძე გიორგი კონსტანტინეს ძე | 23-39 (62) |
| 6-9 | გიორგაძე ოთო კობას ძე | 62 (18-44) |
| 6-9 | გურგენიძე ზურაბ ანტონის ძე | 62 (23-39) |
| 10-11 | თხელიძე ირაკლი ჯონდოს ძე | 61 (23-38) |
| 10-11 | მჭედლიშვილი ილია კობას ძე | 61 (28-33) |
| 12-15 | ბლუაშვილი ზურაბ ნოდარის ძე | 59 (31-28) |
| 12-15 | ვეშაპიძე გია შოთას ძე | 59 (28-31) |
| 12-15 | მორჩიაშვილი პალიკო სევერიანის ძე | 59 (20-39) |
| 12-15 | ღვაჩლიანი ირაკლი ფაიზორის ძე | 59 (31-28) |
| 16-17 | მელიქიშვილი ნუგზარ ლევანის ძე | 58 (25-33) |
| 16-17 | ჯაფარიძე არჩილ ბიძინას ძე | 58 (23-35) |
| 18-20 | ბლუაშვილი ნოდარ ზურაბის ძე | 57 (15-42) |
| 18-20 | ლომიძე გიორგი მალხაზის ძე | 57 (31-26) |
| 18-20 | ფხაკაძე ზურაბ გურგენის ძე | 57 (29-28) |
| 21-29 | ბაციკაძე ნუგზარ ვლადიმერის ძე | 56 (25-31) |
| 21-29 | გოცირიძე არჩილ ილიას ძე | 56 (23-33) |
| 21-29 | გრძელიშვილი ლაშა ალექსის ძე | 56 (18-38) |
| 21-29 | მახარაშვილი თეიმურაზ თენგიზის ძე | 56 (23-33) |
| 21-29 | ნონიკაშვილი მიხეილ ნუგზარის ძე | 56 (28-28) |
| 21-29 | ორმოცაძე ზაზა ვლადიმერის ძე | 56 (25-31) |
| 21-29 | ციკოლია მამუკა ვალერიანის ძე | 56 (23-33) |
| 21-29 | ძნელაძე ნუგზარ სიმონის ძე | 56 (25-31) |
| 21-29 | ჭანტურია სოსო კობას ძე | 56 (23-33) |

შედეგების გაპროტესტება შეიძლება 30 სექტემბრამდე, 11-დან 17 საათამდე, კვირა-ორშაბათის გარდა გაზეთ „ახალი ვერსიის" რედაქციაში

## დუდუ დადიანის მემორიალი

25 სექტემბერი. სპორტის სასახლე

**დინამო 79:72 თსუ**

20:14, 24:18, 16:17, 19:23

**დინამო:** ელენტი (13), ხოშტარია (17), ბეჟანიშვილი (14), ჩუბინიძე (4), ლივაიჩი (4); გამყრელიძე, ტულუში (3), მინაშვილი (8), კეიდია (6), მუშკუდიანი (10)

**თსუ:** მარხვაშვილი, საყვარელიძე (6), ვ. სანიკიძე (31), ორმოცაძე (9), კილაძე (8); შენგელია, მაისურაძე (7), ლეჟავა (4), ვეფხვაძე, ზ. სანიკიძე (8)

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე

**კომისარი:** თენგიზ ქიქოძე

**ბასკო 122:65 მაკაბი**

28:13, 31:26, 26:13, 37:14

**ბასკო:** ი. ბერიშვილი (7), ბ. ბერიშვილი (18), ჩხატარაშვილი (11), ტუჯანი (12), ბერძენიშვილი (10); დ. ბერიშვილი (3), კვიმსაძე (15), კეშელავა (24), ბოლქვაძე (4), იმნაძე (18)

**მაკაბი:** ნინოშვილი (2), წოწელია (20), კონჯარია (8), ვაშაკიძე (16), სუხიშვილი (9); ფსუტური (2), ქოქოსაძე, ერგემლიძე (6), ტატუნაშვილი, ფიცხელაური, ოთიურიძე (2)

**მსაჯები:** დავით ბერეკაშვილი, დავით ანდრიაძე

**კომისარი:** როლანდ გელოვანი

# გაუგებარია, რატომ ჩხუბობენ ქართველი სპორტსმენები გაუგებარი მიზეზის გამო

*გუშინწინ კალათბურთის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობაზე ითქვა, რომ წინა სეზონმა ისე ჩაიარა, არც მსაჯი უცემია ვინმეს და ჩხუბიც, ფაქტორივად, არ მომხდარაო. ეს, რა თქმა უნდა, მისასალმებელი ამბავია, მაგრამ ცუდი ისაა, რომ ამ განცხადებიდან მეორე დღეს დუდუ დადიანის ხსოვნის ტურნირზე გვარიანი შეხლა-შემოხლა მოხდა. „დინამო" — თსუ-ს პირველი მეოთხედი ილეოდა, როცა მსაჯმა ზაზა მაჩალაძემ მოედნიდან ორი მოშულარი, სტუდენტი კახა შენგელია და დინამოელი კოტე ტულუში გააძევა*

ჩხუბი სპონტანურად, შეიძლება ითქვას, გაუგებრობის გამო დაიწყო. შენგელიამ საკუთარ მოედანზე მოიხელთა ბურთი და თავისი ზორბა სხეული მეტოქის ფარისკენ დაიძრა. გზად გაცილებით მომცრო და მჩატე ტულუში დაუხვდა, რომლის ჩამოშორება თსუ-ელმა ბრუნით სცადა, მაგრამ დაეჯახა და ორივენი წაიქცნენ. ტულუში ნაადრევად წამოდგა და შენგელიასთან მივიდა, როგორც მოგვიანებით თქვა, წამოსაყენებლად. ყველაფერ ამას შელაპარაკება და მუშტი-კრივი მოჰყვა, შენგელიასა და ტულუშს შორის მყისვე თანაგუნდელები ჩადგნენ, მოგვიანებით კი ორივენი მაჩალაძემ მოედნიდან გააძევა.

როგორც ვთქვით, ეს ინციდენტი პირველი მეოთხედის ბოლოს მოხდა, როცა ყველაფერი ჯერ კიდევ წინ იყო. მაჩალაძის გადაწყვეტილებამ, ერთი შეხედვით, თსუ დააზარალა, რადგან „დინამოს" ტულუშის გარდა კიდევ ჰყავდა ხეირიანი გამთამაშებელი, არჩილ ელენტი, სტუდენტები კი, ფაქტობრივად, უცენტროდ დარჩნენ.



წაგებულ სტუდენტ ვიქტორ სანიკიძეს თავისი თამაში არ წაუგია

„დინამომ" სიტუაციით ისარგებლა და ფარქვეშიდან შეუტია, მაგრამ მარტო დავით მუშკუდიანის ჩაუქიშამ ვერ დათრგუნა სტუდენტები ჩემპიონებმა თავიანთ ახალშენაძენს, ხორვატ ცენტრ დარიო ლივაიჩს მისცეს შანსი, მაგრამ ამ წონოლა ჯეელმა ვერაფერი გააკეთა ისეთი, რითაც დინამოელთა უწინდელ ცენტრს, სერბ იოვან სიროვინას აჯობებდა. 210-სანტიმეტრიანი ლივაიჩი მხოლოდ ბლოკის დაყენებით იყო დაკავებული, მაგრამ საკმაოდ ტანხმელი ამასაც ვერ ახერხებდა ხეირიანად.

„დინამოს" თამაშში რაიმე ახლებურს ველოდით, რამეთუ დრაჟენ ბრაიკოვიჩს გუნდის „საკეთებლად" დროც საკმარისი ჰქონდა და პირობებიც: ნაკრების ხორვატმა მწვრთნელმა დიღმის ბაზაზე ვინც კი უნდოდა, შეკრიბა და მოგვიანებით „დინამოში" აიყვანა. მისივე სურვილით ჩამოვიდა თბილისში დარიო ლივაიჩი. ამ ყოველივეს მიუხედავად, დინამოელთა თამაშს ახლებური მხოლოდ სისწრაფე ჰქონდა, კომბინაციების გათამაშების სურვილი კი იყო, მაგრამ შესრულების ხარისხი არ ვარგოდა.

საბოლოოდ ისევ ირაკლი ხოშტარიამ იყოჩაღა და სწრაფი გარღვევებით „დინამო" საგრძნობლად დააწინაურა. მეორე მეოთხედში თსუ 10 ქულით ჩამორჩა, მაგრამ ვიქოტორ სანიკიძისა და ამროსი ორმოცაძის წყალობით „დინამო" წინ მეტით ველარ მიდიოდა. 17 წლის სანიკიძე სტუდენტებს მშვენივრად ლიდერობდა. ის იყო ყველგან, დაცვაში, შეტევაში, მაღლა, დაბლა... სანიკიძის არაერთმა ჩატენილმა მაყურებელთა ტაში დაიმსახურა, ერთ ეპიზოდში კი ვიფორმა ბარე 10 სანტიმეტრით მაღალ ლივაიჩს დააფარა.

უნდა ითქვას ვიქტორის ძმა ზურაბზეც, რომელიც აქტიურად ჩაერთო ფარქვეშა თამაშში და არც ლივაიჩს დაუდო ტოლი და არც მუშკუდიანს. ძმების მეცადინეობით ბოლო მეოთხედის წინ თსუ არცთუ ბევრ, 11 ქულას აგებდა და ბოლო ათ წუთში იმავ ვიქტორ სანიკიძის ძალისხმევით მოსაგებად მიაწვა „დინამოს".

ბოლო მეოთხედი ისეთი გამოდგა, ქართულ კალათბურთს იშვიათად რომ სჩვევია. იყო ბოლომდე ბრძოლა, განსაკუთრებით სტუდენტები ფიცხლობდნენ. 30-ს გადაბიჯებული ორმოცაძე საოცარი ენერგიით იხარჯებოდა, ახალგაზრდა სანიკიძეს ხომ ისედაც არ აკლდა შემართება და ამათი წყალობით საფინალო სირენამდე 4 წუთით ადრე თსუ-მ 6 ქულამდე შეამცირა ჩამორჩენა. „დინამოს" წინა ხაზი საერთოდ მოიშალა, [illegible] ბეჟანიშვილი თუ იყოჩაღებდა ალაგ-ალაგ. ეს იყო მატჩის ბედის გადამწყვეტი მონაკვეთი, რომელშიც „დინამოს" უკანახაზმა იყოჩაღა. სანიკიძეს ანგარიშის შემცირების კარგი შანსი მიეცა, მაგრამ რამდენიმე სამქულიანი გააცუდა და „დინამოს" დაბლებმა, ხოშტარიამ და ელენტმა უმალ ახეირეს თავისიანები. ბეჟანიშვილის ორქულიანმა ბრაიკოვიჩის სამწყსო 15 ქულით დააწინაურა და დარჩენილ წუთნახევარში სტუდენტებმა მხოლოდ ანგარიშის შემცირებაღა შეძლეს.

გუშინდელი დღის მეორე მატჩზე ბევრიც არაფერია სათქმელი, ოღონდ მხოლოდ თამაშზე, თორემ ბათუმურ კლუბზე ბევრი შეიძლება ვილაპარაკოთ. ზღვისპირელებს შეუფერებელი მეტოქე ჰყავდათ და იოლადაც გაამტვერეს, მაგრამ თვალშისაცემი იყო ის, რომ „ბასკომ" როცა კი მოისურვა, ყოველთვის საკუთარი თამაში მოახვია მაკაბელებს.

იყო ეპიზოდები, როცა ბათუმელები პრესინგს მიმართავდნენ, კონტრშეტევებს ეძალებოდნენ, ფარქვეშ ტრიალებდნენ და ყველაფერი ეს იოლად გამოსდიოდათ.

„ბასკოს" ყველაზე მძლავრი თუ არა, ერთ-ერთი საუკეთესო წინა ხაზი ეყოლება მომავალ სეზონში. დავით ბერძენიშვილი, დავით იმნაძე და დაცვის ოსტატები, ელიოტ ტუჯანი და პლასიდე როდუმტა გვარიანი ძალაა. ბათუმელებს იმნაძე წინა სეზონში „ქუთაისში" ჰყავდათ განათხოვრებული, ამ ზაფხულს კი ამ ყოჩაღმა ახალგაზრდამ, ვეება ტანის გამო „გოძილას" რომ ეძახიან, ცსკა-ში გაიარა სტაჟირება. გუშინ იმნაძემ თითქმის ყველა ბურთი ჩააგდო და ბუბა ბერიშვილთან ერთად ბასკოელთაგან ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული იყო.

„ბასკომ" ასქულიან ზღვარს ბოლო მეოთხედის ახალდაწყებულზე გადააბიჯა და „მაკაბი" საბოლოოდ 57 ქულით გაანადგურა.

დღეს ჯგუფებში ბოლო ტურის მატჩები გაიმართება, რომელნიც ფაქტობრივად ნახევარფინალებად შეგვიძლია მოვნათლოთ. „ა" ჯგუფში პირველობისთვის „დინამო" „რუსთავს" შეეტოქება, „ბ" ჯგუფში გასამარჯვებლად კი „ბასკო" და „სტუ-ჯეოსელი" იბრძოლებენ.

**ირაკლი პერტაია**

# თსუ-მ გაჩუმებული თორთლაძე დაიჩემა



დავით თორთლაძე



გია ჯავახიშვილი

*როგორც იქნა, გაირკვა დრაჟენ ბრაიკოვიჩისგან დაწუნებული დავით თორთლაძის ახალი გუნდი. „დინამოს" ყოფილი გამთამაშებელი ახალ ჩემპიონატს თსუ-ში შეხვდება. თავად კალათბურთელი ჯერ არაფერს ამბობს, მაგრამ როგორც თსუ-ს მთავარი მწვრთნელი გია ჯავახიშვილი ირწმუნება, თორთლაძე მის გუნდში ითამაშებს. ჯავახიშვილს გუშინ შევხმიანეთ და თსუ-ს შესაძლო სპონსორზე, კომპანია „კოკა-კოლას" და „დინამოსთან" მატჩში ნაძევებულ კახა შენგელიაზეც ვისაუბრეთ...*

— გავიგეთ, დავით თორთლაძის შემატებას აპირებთ...

— ეს ამბავი უკვე გადაწყვეტილია. თორთლაძე თსუ-ში ითამაშებს. დუდუ დადიანის მემორიალისთვის მისი დამატება ვერ მოხერხდა, ჩემპიონატის დასაწყისიდან კი დავითი უკვე ჩვენთან იქნება.

— რატომ ვერ მოახერხეთ დადიანის მემორიალისთვის მისი დამატება?

— შესათანხმებელია ფინანსური პირობები, რაც, ჩემი ვარაუდით, კონტრაქტის გაფორმებით დასრულდება.

— თორთლაძე და თსუ-ს რამდენიმე კალათბურთელი ჩვენი ჩემპიონატის კვალობაზე საკმაოდ მაღალხელფასიანი მოთამაშეები არიან. ასეთი ფუფუნების უფლებას სახელმწიფო უნივერსიტეტი აქამდე თავს არ აძლევდა. გავიგეთ, „კოკა-კოლა" აპირებს თსუ-ს სპონსორობასო...

— ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით, მიმდინარეობს მოლაპარაკება, რომელიც, გვინდა, შეთანხმებით დასრულდეს. „კოკა-კოლას" პრეზიდენტი თემურ ჭყონია გუშინ ჩვენს თამაშსაც დაესწრო და ყველაფერი უახლოეს დღეებში გადაწყდება. ბატონი თემური დღეს ესპანეთში გაფრინდა და მის დაბრუნებას ველით.

— დღეს „დინამოსთან" გაძევებული კახა შენგელია თსუ-ს სათადარიგო სკამიდან გულმოსული გაემართა გასახდელში...

— კახა ძალიან დარდობდა, კოტე ტულუშთან რაღაც გაუგებრობის გამო წაკინკლავდა, თან თამაშს მისი პატარა ბიჭიც უყურებდა და ამის გამო უფრო ეტკინა გული. საგანგაშო არაფერია, ყველაფერი მოგვარდება. ეს გაძევება ჩემპიონატზე არ გავრცელდება და შენგელია პირველივე შეხვედრაში ითამაშებს.

**ირაკლი პერტაია**

**მყინვარწვერზე** გერგეტის ყინვარიდან მოლაშქრეთ შუქურასავით სავალს უნათებთ გზის მაჩვენებელი „იაგორას ნიში“, ხოლო რაჭაში მწვერვალ ბურჭულას ერთ-ერთ მისადგომს „იაგორას მისავალი“ ეწოდება.

ახლა, იაგორ კაზალიკაშვილზე რომ მოგითხრობთ, მახსენდება 1975 წელს ყაზბეგში, კულტურის სახლში გამართული საღამო, რომელიც იაგორ კაზალიკაშვილის გარდაცვალებიდან 40 წლისთავს მიეძღვნა. გუშინდელივით მახსოვს ხალხით გაჭედილი დარბაზი, მოხეური კილო, იეპიტერებით გაჩირაღდნებული სურათი, საიდანაც დოინჯშემოყრილი ახოვანი, მხარბეჭიანი ვაჟკაცი შემოგვყურებდა. შემოგვყურებდა თავაწეული, შუბლგახსნილი, რომელსაც ოდნავ შესამჩნევი ღიმილი დასთამაშებდა. ღიმილი გამოკრთოდა მოელვარე თვალებიდანაც. მაღალ შუბლს სანახევროდ მოხეური ფაფახი უფარავდა. ჩოხა ეცვა და წელს ხანჯალი უმშვენებდა...

ეს იაგორა იყო, იაგორ კაზალიკაშვილი.

მოგონებებით გამოდიოდნენ იმ დროს უკვე ასაკოვანი და ხანდაზმული იაგორის ახლობლები, მეგობრები, ნაცნობები, ისინი, ვინც მასთან ერთად უტევდნენ კავკასიონის მწვერვალებს, უტევდნენ და იმორჩილებდნენ.

დღეს ისინი ცოცხლები აღარ არიან, მაგრამ შემომრჩა იმ საღამოს შევსებული უბის წიგნაკი, რომელშიც ხარბად ვიწერდი მოგონებებს იაგორ კაზალიკაშვილზე, მის ქებათა ქებას.

იაგორ კაზალიკაშვილს იმ მოგონებებში და ალპინისტურ ლიტერატურაში მოიხსენიებენ როგორც უებრო მეგზურსა და გამყოლს, მაგრამ ახლა იმ ჩემს ჩანაწერებს რომ ვკითხულობ და კიდევ ერთხელ ვიხსენებ მთამსვლურ ლიტერატურას, ჩემს თვალში დღევანდელი გადასახედიდან უფრო მაღლდება იაგორ კაზალიკაშვილის როლი და ადგილი ქართული მთამსვლელობის ისტორიაში. იგი იყო არა მხოლოდ უბრალოდ მეგზური თუ გამყოლი, არამედ გუნდის სრულფასოვანი წევრი, თავისი დროის ერთ-ერთი დიდი მთამსვლელი, ექსპედიციების მრჩეველი, ალპინისტთა იმედი...

მაშინ კი ჯერ კოლმეურნე, მერე უკვე კოლმეურნეობის თავმჯდომარე იაგორ კაზალიკაშვილმა, როგორც მთამსვლელმა, მგონი თავადაც არც იცოდა საკუთარი თავის ფასი. ყოველ შემთხვევაში, აი, რას ამბობს იაგორი თავის თავზე პოემაში „უშბა“.

*„ასოცი ჯიხვი მამიკლავს*
*და ოცი მგელი ხელითა,*
*საწყალი გლეხის შვილი ვარ,*
*მთაში გაზრდილი ქერითა“.*

არც ამ პოემაში და არც სხვაგან იაგორ კაზალიკაშვილი საკუთარ მთამსვლელობაზე თითქმის არაფერს ამბობს, სამაგიეროდ, აქებს, ადიდებს და ხოტბას ასხამს თანაგუნდელებს...

28 წლის წინათ, იმ საღამოს ყაზბეგში იაგორის ბევრი ლექსი წაიკითხეს.

„ეს ლექსები ხალხური შემოქმედების ბრწყინვალე ნიმუშია. იაგორი ლექსებს არ წერდა, ჯერ წარმოთქვამდა. მოხევეთა მთის რაინდი ბუნების მომღერალი იყო. მგონი კავკასიონზე არ არსებობს არც

# იაგორა მთაში გაზრდილი ქერითა

ახლა ქართველ მთამსვლელებს საიუბილეო ასვლები აქვთ და იხსენებენ 1923 წელს, როცა თბილისის უნივერსიტეტელები გიორგი ნიკოლაძის მეთაურობით ყაზბეგის რაიონში მწვრვალ მყინვარწვერზე ავიდნენ, რითაც საფუძველი ჩაუყარეს ქართული და მთელი საბჭოთა ალპინიზმის ისტორიას. იმ ასვლიდან 80 წელი გასულია და ამიტომაც ახლა ქართველი მთამსვლელები მყინვარწვერს მისძალებიან. ზოგი უკვე ავიდა მწვერვალზე, ნაწილიც ახლა მიემართება საიუბილეო ლაშქრობაში. მათ შორის არიან საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდენტის შოთა მირიანაშვილის თაოსნობით დაგეგმილი დიდი ალპინიადის მონაწილეებიც, რომლებიც გველეთიდან იმ პირველამსვლელთა მარშრუტს გადიან. მოლაშქრეთა შორის არიან ახალბედა მთამსვლელებიც და სახელგანთქმული ვეტერანებიც, რომლებიც ხუთი თითივით იცნობენ მყინვარწვერსა და მასზე ლაშქრობების ისტორიას. ისინი ახალბედებს ბევრ საინტერესოს უამბობენ და იხსენებენ იაგორ კაზალიკაშვილსაც (1882-1935), რომელიც გიორგი ნიკოლაძის ექსპედიციას მეგზურობდა.


იაგორ კაზალიკაშვილი

ერთი ცოტა თუ ბევრად ცნობილი მწვერვალი, იაგორს მისთვის რომ არ ემღეროს“ — ამოვიკითხე ჩემი უბის წიგნაკიდან იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის დავით ფურცელაძის, თავადაც მთამსვლელის წარმოთქმული სიტყვა.

თავის ლექსებში სხვათა ოსტატობას აქებდაო იაგორ კაზალიკაშვილი და აკი ის „ლექსებიც“, 1933 წელს რომ გამოიცა, თავისი მეგობრების სიმონ ჯაფარიძის, პიმენ დვალის, ატო ალნიაშვილის, გიორგი ნიკოლაძისა და შოთა მიქელაძის ნათელ ხსოვნას მიუძღვნა.

ეს კრებული მიქელ პატარიძისა და იოსებ ასლანიშვილის თაოსნობით დაიბეჭდა. მერე კაზალიკაშვილის რამდენიმე ლექსი ცნობილმა საბჭოთა პოეტმა, მთამსვლელობით გატაცებულმა ნიკოლოზ ტიხონოვმა რუსულად თარგმნა და გამოსცა.

მაგრამ ამჯერად რაკი იაგორ კაზალიკაშვილი უწინარეს ყოვლისა, როგორც მთამსვლელი გვაინტერესებს, ჩვენც მთების გადასახედიდან ვიხსენებთ.

იაგორ კაზალიკაშვილი პირველად 1907 წელს ავიდა მყინვარწვერზე. მაშინ მან რუსული სამთო საზოგადოების წევრ ისაკოვთან ერთად სოფელ გველეთში მცხოვრები, ცნობილი ქისტი გამყოლის იანი ბეზურთანოვის მეგზურობით, ყოველგვარი საჭურველის გარეშე შედგა ფეხი მყინვარწვერზე და იქ თავისი ბანდულების კვალი დატოვა.

1913 წელს კაზალიკაშვილმა რუსეთის სამთო საზოგადოებისგან ოფიციალურად მიიღო სამეგზური წიგნაკი და იგი მრავალჯერ წარუძღვა მყნვარწვერზე მიმავალთ.

ამბობენ, კაზალიკაშვილმა იქ 30-ჯერ დატოვა თავისი ბანდულების კვალიო, მაგრამ ეს მის სახელს არც არაფერს მატებს და არც მაშინ დააკლდება რამ ამის ნახევარჯერაც რომ ასულიყო. მთავარი სულ სხვაა — ის წვლილი, რაც მას ქართული ალპინიზმის დანერგვა-განვითარებაში შეუტანია.

მყინვარზე იმ პირველასვლის ხელმძღვანელი გიორგი ნიკოლაძე თავის დღიურში წერდა: „ჩვენ დილიდანვე შევუდექით გამყოლების ძებნას, რომელნიც მალე ვიპოვეთ: ესენი იყვნენ ადგილობრივი სოფლებიდან, ცნობილი გამყოლი იაგორ კაზალიკაშვილი და განთქმული მონადირე ლევან ქუშაშვილი. იაგორმა გასინჯა ჩვენი ერთი გოჯის სისქის თოკები, ბანდულები და სიცილი დაიწყო: „აი, როგორ გეტყობათ, რომ მთაში არასოდეს გივლიათ. მყინვარწვერზე ცარიელებიც ვერ ახვალთ და ამისთანა თოკს ვინ აიტანსო“. ბანდულების გულისთვის მთელმა სტეფანწმინდამ სასაცილოდ აგვიგდო. „ასეთი ბანდულებით თევზს თუ დაიჭერთო“. მართლაც, ჩვენი ბანდულების ძირი ბადესავით ნასკვებით იყო დაწნული: დაბანდვის წესი კი თურმე სულ სხვა ყოფილა — უნასკვო, რათა სიარულის დროს ფეხი არ დაბეჟილიყო. საჭირო გახდა ბანდულის ძირის დაშლა და ხელმეორედ, იაგორას ზედამხედველობით გაბანდვა. გარდა ამისა, იაგორამ თქვა, რომ უწრიაპოდ ვერ ახვალთო. ამის გამო იძულებული გავხდით ყველანი ორი დღე სტეფანწმინდაში დავრჩენილიყავით, რომ ყველაფერი მოგვემზადებინა. სტეფანწმინდა და გერგეტი წრიაპების ძებნაში დავიარეთ. ზოგი მჭედელს შევუკვეთეთ, ზოგი მოხევეებში მოვაგროვეთ და ამგვარად უმეტესი რიცხვი საჭირო წრიაპებისა შევიძინეთ. სულ სხვადასხვა სახისაა: ინგლისური, შვეიცარული და ადგილობრივი“.

„მყინვარწვერზე იმ ისტორიული ასვლისას ჩვენთან მოვიდა ახოვანი ვაჟკაცი, აგვხედ-დაგვხედა, შეგვათვალიერა — იხსენებდა ასმათ ნიკოლაიშვილი — ეს იაგორ კაზალიკაშვილი გახლდათ. სწორედ მან მოგვამზადა მყინვარწვერზე სიერიშოდ, თავისი ხელით გაგვიკეთა ბანდულები და წავედით. სულ წინ მიგვიძღოდა. რამდენიმე კაცი ჩამორჩა. ვისაც ძალა შესწევს, დარჩეს, დანარჩენები დაბრუნდნენო. მწვერვალი აუცილებლად უნდა დავიპყროთ, — ბრძანა იაგორმა. გზაში ყველას გვარიგებდა: ახლა ჩაისუნთქეთ, ახლა ამოისუნთქეთო, აქ გაიარეთ, იქით ნაპრალის სუნიაო. „მანდეთ ნუ მიდიხართ, ქალავ! გონჯი გზაა და დაიღუპებით“. არ დავუჯერეთ. დაგვაჯერა. ასევე იყო მომდევნო წელსაც, იალბუზზე პირველი საბჭოური ასვლისას. იაგორი ჩემთვის ვაჟკაცობისა და უზენაესი სისპეტაკის განსახიერება იყო“.

ნიკო კეცხოველი თავის წიგნში („თოვლიანი მთები“) გიორგი ნიკოლაძის მეთაურობით იალბუზზე პირველი საბჭოური ასვლის თაობაზე რომ მოგვითხრობს, იაგორ კაზალიკაშვილზე წერს: „უკან იაგორა კაზალიკაშვილი მოდის, დაურიდებელი, გამბედავი, მაგრამ ფრთხილი მოგზაური. ხშირად მოსცილდება ბოლოს, ამოგვირბენს გვერდით და გვეუბნება: ყოჩაღად, გენაცვათ, ფეხი არ შეგიშინდეთ, ხომ იცით, იალბუზზე რომ ვერ ავიდეთ, ხევის პატარძალი გაგვიჯავრდება, მარტო მე რად დამიბრიყვეთ. თუ ბიჭები იყავით, რატომ ჩემს უფროს ძმას ვერაფერი დააკელითო“.

მყინვარწვერზე და იალბუზზე იმ პირველი ასვლების მონაწილეთა ამ მოგონებაში ნათლად ჩანს, რომ იაგორ კაზალიკაშვილი პრაქტიკულად არა მხოლოდ მეგზური, არამედ ასვლის ხელმძღვანელი, გუნდის მთავარი გამწევი ძალა და კონსულტანტი იყო.

იაგორ კაზალიკაშვილი ადსილ ავალიანთან, ალიოშა და ალექსანდრა ჯაფარიძეებთან ერთად, ასევე პირველ საბჭოურ და ქართულ ასვლას ახორციელებს სვანეთის ულამაზეს მწვერვალ თეთნულდზე.

ალიოშა ჯაფარიძე იმ ასვლაზე რომ მოგვითხრობს, იაგორ კაზალიკაშვილს ასე იხსენებს: „საარაკო სანახავი იყო აქ იაგორი. უნდა გენახათ, როგორი გატაცებით დაიწყო მან საფეხურების გაჭრა და გაეშურა წინ იმ რწმენით, რომ თეთნულდი უკვე ჩვენს ხელთ იყო. საერთოდ გვაოცებს ამ კაცის ბუნება, მისი ზნეობრივი და ფიზიკური სიმდიდრე“.

იაგორ კაზალიკაშვილის დამსახურებათა ნუსხიდან საინტერესოა 1931 წელს ალიოშა ჯაფარიძის ჯგუფის წევრებთან ერთად მყინვარწვერზე ახალი, მანამდე უვალი გზით, დევდორაკისა და აბანოს ყინვარებს შორის წყალგამყოფი ქედით ასვლა. ამის შესახებ ალიოშა ჯაფარიძე წერს: „ეს მიღწევა შედეგია იაგორას თანამგზავრობისა ჩემთან, მისი დახმარების, გამოცდილების და ყველა იმ ძვირფასი თვისების, რომელნიც მას ახასიათებენ, როგორც საუკეთესო ადამიანს და მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით პირველ მეგზურს“.

იაგორ კაზალიკაშვილის მიღწევათაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია 1934 წელს გოროზ უშბაზე პირველი ქართული და საერთოდ საბჭოური ასვლა, რომელიც გიო ნიგურიანთან, ალიოშა და ალექსანდრა ჯაფარიძეებთან ერთად განახორციელა. ამ ასვლით საბჭოთა ალპინიზმი საერთაშორისო სტანდარტებს გაუთანაბრდა.

ერთი წლის მერე იაგორ კაზალიკაშვილს შინ მიაკითხეს ფრუნზეს სახელობის მეორე ქართული მსროლელი დივიზიის ჯარისკაცებმა. მყინვარწვერზე მეგზურობას სთხოვდნენ, მაგრამ იაგორას უკურნებელი სენი შეპყროდა და ლოგინად იყო მიჯაჭვული.

*„ვაიმე როგორ დავლონდი,*
*ამტკივდა ყველა სხეული,*
*გულზე ლოდივით დამაწვა,*
*აღარ მეხსნება წყეული,*
*აღარ და აღარ ამიშვა*
*მე ჭალარგამორეული,*
*ვაი, რა ძნელია წოლა,*
*მთაზე სიარულს ჩვეული,*
*გავტკეპნე სვანეთის მთები,*
*ახლა რაღას ვიქ სნეული“.*

320 ჯარისკაცი შაშხანებით, ტყვიამფრქვევებითა და ქვემეხით უიაგოროდ ავიდა მწვერვალზე და როდესაც 5034 მეტრის სიმაღლიდან ზარბაზნის ჭექა-ქუხილი ისმოდა, იმ დროს აღარ იყო მოხევეთა სიამაყე იაგორ კაზალიკაშვილი.

**ავთანდილ ბურასაშვილი**


პირველი ქართველი მთამსვლელები: წინა პლანზე — მიქელ პატარიძე, იოსებ ასლანიშვილი, ელენე ლორთქიფანიძე, შოთა მიქელაძე, იაგორ კაზალიკაშვილი; მეორე რიგში — დავით წერეთელი, კყო მარი, ნიკო ქორიკაშვილი, მიხეილ სანებლიძე


მიქელ პატარიძე, იაგორ კაზალიკაშვილი და იოსებ ასლანიშვილი

# აფრიკელი ელჩის საჩუქარი
## ორი ბურთი და ერთი მუქარა



ბიძინა გეგიძე და დელარეი ვანტონდერი

[illegible] ფოტო

— ჩვენ 15 ქულით დაგამარცხებთ.

— მაგას ვერ მოესწრებით...

— ვითომ რატომ?

— იმიტომ, რომ ჩვენ ქართველები ვართ.

დაახლოებით ასეთი შინაარსის დიალოგი გაიმართა გუშინ კავკასიაში სამხრეთ აფრიკის ელჩსა და საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტ ბიძინა გეგიძეს შორის. სამხრეთ აფრიკის ელჩი დელარეი ვანტონდერი საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდა საქართველოში და როგორც ყოფილმა მორაგბემ, რაგბის კავშირიც მოინახულა.

ვანტონდერი ადრეც სწვევია ჩვენს რაგბის კავშირს, ეს შარშანწინ სამხრეთ აფრიკის „ა" ნაკრების ჩამოსვლისას მოხდა. მაშინ აფრიკელი ელჩი გულუხვი იყო. ახლა კი ორი „ქურციკებიანი" ბურთი ჩამოიტანა და ბიძინა გეგიძეს სამახსოვრო სიგელი გადასცა.

— დღეს აქ მეგობრებში ვდგავარ, ორ კვირაში კი მოედანზე მტრები ვიქნებით. მაგრამ ეს იქნება ვაჟკაცური ბრძოლა და, ნუ მიწყენთ, ჩვენ გავიმარჯვებთ — განაცხადა ამაყად აფრიკელმა ელჩმა.

ბიძინა გეგიძე: ასეთი საპატიო სტუმარი კარგა ხანია, არ გვყოლია. დელარეი ჩვენი მეგობარია. ის ორი წლის წინაც იყო საქართველოში. მაშინაც და ახლაც ღირსეულად, ჩვენებურად ვუმასპინძლეთ. იმედია, მოედანზე ყველაფერი სხვანაირად იქნება.



[illegible] ფოტო



# ტაიშანსი შრიჩაფანისთვის
## დანი, დედიკო, ჭამე რამე, ცარიელი ფეხები ხარ



პარადორნ შრიჩაფანი

**ტაილანდის ღია პირველობა**

ბანგკოკი. ჰერქვეში საფარი

საპრიზო 550 ათასი $

**პირველი წრე**

**ხუან კარლოს ფერერო (1, ესპანეთი) — დიკ ნორმანი (ბელგია) 7:5, 7:6 (7:6); კარლოს მოია (3, ესპანეთი) — პეტრ ლუშა (ჩეხეთი) 6:4, 6:3; პარადორნ შრიჩაფანი (4, ტაილანდი) — ვლადიმირ ვოლჩკოვი (ბელარუსი) 0:6, 6:3, 6:2; გრეგორი კარა (საფრანგეთი) — ფაბრის სანტორო (7, საფრანგეთი) 3:6, 7:6 (10:8), 6:1; ბოგდან ულირახი (ჩეხეთი) — დავიდე სანგვინეტი (იტალია) 6:2, 6:3; იარკო ნიემინენი (5, ფინეთი) — დანაი უდომჩოკე (ტაილანდი) 6:4, 6:1**

ტაილანდის ღია პირველობა წლეულს პირველად იმართება, ამიტომაც ყველაზე სახელიან ტაი მეჩოგნეს, პარადორნ შრიჩაფანს საამპირველპირველობოდ გამორჩეული პრეტენზიები მოეძევება. ეს პრეტენზიები „მსუბუქი" რამ სულაც არ გახლავთ და სწორედ მათი სიმძიმის გამო იყო, პიტალო აზიელმა ტურნირის პირველივე სეტი პირწმინდად რომ ჩააფლავა.

თუმცა მერე და მერე პარადორნა მობუყბუყე ემოციებს ლაგამი ამოსდო და მშობლიური მილეთის თვალწინ ბელარუს ვოლჩკოვს აღარ გაეიმასქნებინა.

სანაცვლოდ აოტეს მისი უსახელო თვისტომი დანაი უდომჩოკე, ვისაც რაგინდარა საეიტიპიო ტურნირზე 2001 წელს ტოკიოში გაფაფხურების მერე აღარ ეთამაშა. დანაი ფინელმა ნიემინენმა გაამუნმულა.

რაც შეეხება ტურნირის ზეგანთესილებს, იმ დღეს მათგან ესპანელებმა — ფერერომ (1) და მოიამ (3) იჩოგნავეს. პირველს საკმაოდ გაუჭირდა 2,03-მეტრიანი ბელგიელის, გლაჯუნა დიკ ნორმანის ძლევა, თუმცა ამის 17 ეისის მიუხედავად, მაინც სეტისწაუგებლად იმარჯვა. მეორემ კი შედარებით იოლად მოთელა უსახელო ჩეხი ლუშა.

სათქმელია, რომ ფერეროს წლეულს უკვე 58 გამარჯვება დაუგროვდა, რაიც მისი პირადსარეკორდო მონაგარია.

**პაინეჰერსტის ღია პირველობა**

შანხაი. მაგარსაფარი

საპრიზო 380 ათასი $

**პირველი წრე**

**მარტინ ფერკერკი (2, ჰოლანდია) — შაო ხუან ძენი (ჩინეთი) 6:2, 6:3; მარკ ფილიპუსისი (3, ავსტრალია) — ანდრეას ვინსიგერა (შვედეთი) 6:4, 7:6 (7:2); ნიკოლას კიფერი (5, გერმანია) — ტომას ენკვისტი (შვედეთი) 1:6, 6:3, 6:3; რობინ სოდერლინგი (შვედეთი) — იონ ვან ლოტუმი (8, ჰოლანდია) 6:2, 6:0**

**მეორე წრე**

**ირჟი ნოვაკი (1, ჩეხეთი) — რობერტ კენდრიკი (აშშ) 6:7 (3:7), 6:1, 6:2; მაგნუს ნორმანი (7, შვედეთი) — ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) 7:5, 7:6 (7:5)**

ტურნირის ჩეხი მთავარგანთესილი ირჟი ნოვაკი უსახელო ამერიკელ კენდრიკს გასცდა და მეოთხედფინალში ტურნირის ორგზის ჩემპიონ მაგნუს ნორმანს დაეჯახება. ნორმანს იქ 1999 და 2000 წლებში უმარჯვია და ალბათ 2001-შიც გაიმარჯვებდა, ტრავმის გამო რომ არ გამოეტოვებინა.

ნიკოლას კიფერი მე-11 პირად მატჩში ერკინა შვედ ტომას ენკვისტს და ნაამატჩევს უკვე 6:5 უგებს. წლეულს მას 13 მარცხის წილი უკვე 16 გამარჯვება დაეკვეხება. ეს მაჩვენებელი სამოსნურია, თუმცა შარშან ეგეც არ იყო.

თავის მხრივ — მორიგი იოლი გამარჯვება მიითვალა 19 წლის შვედმა რობინ სოდერლინგმა, ვინაც ზეასეულში გასული აგვისტოდან მკვიდრობს და ისეთი პირი უჩანს, უფრო ზევით თუ არ აიწია, ქვევით ნაღდად აღარ ჩაიწევს.

**SPARKASSEN CUPP**

ლაიპციგი. ხალიჩა

საპრიზო 585 ათასი $

**მეორე წრე**

**ანასტასია მისკინა (3, რუსეთი) — ლინა კრასნორუცკაია (რუსეთი) 6:2, 6:3; სანდრა კლეინოვა (ჩეხეთი) — მაგდალენა მალეევა (4, ბულგარეთი) 6:4, 6:4; პატი შნიდერი (შვეიცარია) — დანიელა ჰანტუხოვა (5, სლოვაკეთი) 6:4, 4:6, 7:6 (7:3); მარიან ვენტო-კაბჩი (ვენესუელა) — სილვია ფარინა-ელია (8, იტალია) 7:5, 6:3**

დანიელა ჰანტუხოვას რეიტინგი მისი წონის პირდაპირპროპორციულად რომ იკლებს, ეგ უკვე არახალი ამბავია. გამონაკლისი არც ლაიპციგურ ჰერქვეშ მომხდარა — ზეოცეულში თავისი კუთვნილი ადგილისთვის მორუდუნე პატი შნიდერმა ამჟამად მსოფლიოს რანგით მე-13 ჩოგნის მქნეველი გამწლაკული სლოვაკი სამსეტიანი ბულრაობის შედეგად მოდრიკა.

ნამატჩევს დანიელას ინგლისელი მწვრთნელი ნაიჯელ სიერსი იხტიბარს არ იტეხდა — შიგადაშიგ დანი მართლაც საუცხოოდ ირჯებოდა და, თუ გაინტერესებთ, ბოლო დროს ცოტა ხორციც მოისხაო...

შნიდერი მეოთხედფინალში ალბათ მსოფლიოს პირველოსან კიმ კლაისტერს შეერკინება. ბუთქუნა ბელგიელის მასთან შეხვედრამდე ჯერ ელენა დოკიჩთან სასიამოვნო ლლაბუცი მოუწევს.

**ლევან ძელაურაძე**



მარტინა ნავრატილოვა

# სპორტის პოლიტიზაცია გადამდებია
## ნავრატილოვა შვარცნეგერობაზე

**ჯერ** ჩვენი სახელოვანი სპორტსმენების [illegible] ნურ ლტოლვას არ შევეგუებოდით, როცა ანალოგიური მისწრაფება ყველა დროის ერთმა უდიადესმა მეჩოგნე ქალმა, მარტინა ნავრატილოვამაც გამოამჟღავნა.

ლეგენდარული ჩეხამერიკელი, ვინაც ოქტომბერში 47 წლისა უნდა გახდეს, მას შემდეგ, რაც რომ მომავალი სეზონის დამლევს დიდ კორტს გამოეთხოვება, ამერიკულ პოლიტიკაში გარევას აპირებს.

ამის შესახებ მარტინამ ლაიპციგში განაცხადა, სადაც ამ დღეებში რუს სვეტლანა კუზნეცოვასთან ერთად წყვილაობს.

„თუკი არნოლდ შვარცნეგერი კალიფორნიის გუბერნატორობაზე იქაჩება, სხვებმა რა დავაშავეთ. კუნთები მეც ზორბად მასხია" — თქვა მან.

„ვითამაშებდი თუ არა გაისად, ბოლო დრომდე გადაწყვეტილი არ მქონდა. კორტზე კიდევ ერთი წლით დარჩენა საგაისო ოლიმპიადაზე გამოსვლის მომხიბლავმა პერსპექტივამ მაიძულა — ვიფიქრე, ურიგო არც იქ გამოსვლა იქნება-მეთქი."

შევახსენებთ, რომ ნავრატილოვას კარიერის განმავლობაში 58 სლემტიტული მოუგია — აქედან 18 კენტად, 31 წყვილად, 9 — „შერეულად". დიდი ჩოგბურთიდან ის პირველად 1994 წელს წავიდა, 6-წლიანი შესვენების შემდეგ კი კვლავ ჩოგანს მოჰკიდა ხელი და მას შემდეგ კიდევ არა ერთი და ორი საწყვილო ტიტული მიითვალა.

ნავრატილოვა: „ჩოგბურთის თამაში უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს, თუმცა სიამოვნება უჩოგბურთოდაც შემიძლია მივიღო. ცხოვრება ჩემთვის ორსავე შემთხვევაში მშვენიერია — ჩოგბურთთან ერთადაც და მის გარეშეც."

REUTERS ბუდაპეშტიდან



# ალინკა, მალინკა

მხატვრულ ტანვარჯიშში მსოფლიო ჩემპიონატს წლეულს ბუდაპეშტი მასპინძლობს. კვლავაც ჩაუქ ფორმაში ყოფილა და თავის თუმც ციდა, მაგრამ კოხტა სხეულს რაგინდარანაირად აპლასტიურებს რუსი სექსტანმოვარჯიშე ალინა კაბაევა.

# ისევ სარბოლეთში

ზუსტად ორი წლისწინანდელი ავარიის შედეგად ორივე ფეხის გარეშე დარჩენილი იტალიელი მრბოლი ალექს ძანარდი ისევ სარბოლეთშია. სახის გამომეტყველებაზეც ეტყობა, თავის სატესტაო BMW 320-ით არც ისე უკმაყოფილო უნდა იყოს.



REUTERS მონაკოდან

# მზადება

არგენტინელთა სარაგბო ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადება. პუმათა ჯეჯგვი ჰუკერი ფედერიკო მენდესი მაშინ აღუბექდავთ, ვირტუალურ მეტოქეს რომ დასტაკებია.



REUTERS ბუენოს აირესიდან



REUTERS სიდნეიდან

# ჰონგი

ახალზელანდიელი მელივისრაგბე „უორიორზები“ იმ დღეს სიდნეიში იქაურ „პანტერებს“ უნდა შეხლოდნენ. სტუმართა კლუბის მფლობელმა ერიკ უოტსონმა მისი ბიჭების საქომაგოდ ჩასულ ათი ათასამდე თვისტომს ბილეთი უყიდა და საარაკო მატჩზე დაპატიჟა. ერთ ფოტოზე თქვენ მისი ამგვარი ხელგაშლილობით გახარებულ ახალზელანდიელ ფანებს ხედავთ, მეორეზე კი ერთ-ერთი ფანი უოტსონს (მარჯვნივ) სულაც მაორულად ესალმება. ამგვარად მისალმებას იმათებურად თურმე ჰონგი ნაქვიება.



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვარცხალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ღარჯანია, გიორგი ვაშაკიძე ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფიფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge